ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## პროკურორი ჭიჭაძე: „ზაზა მურჯიკნელი დოდო გუგეშაშვილმა ამოიცნო“

ზაზა მურჯიკნელი დანაშაულს არ აღიარებს



გვ.5

21 იანვრიდან

რევაზ მიშველაძე

ქრისტე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ორშაბათი, 27 იანვარი, 2020 №21 (8285) ფასი: 60 თეთრი

# ალეკო ელისაშვილი: „თეა წულუკიანი მავნებელ ორლობის დედაკაცად ჩამოყალიბდა“



„ჩემდა სამწუხაროდ, იყო დრო, როცა წულუკიანს ვაქებდი და ვადიდებდი, თავზეხელაღებული ვუჭერდი მხარს“

გვ.4

„ბიძინა ივანიშვილს იმ რაკეტას დაუმიზნებენ, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინია“



## გია ხუხაშვილი: „პრემიერი წულუკიანი იქნება თუ გახარია, ამით არაფერი შეიცვლება“



გვ.3



## შალვა შავგულიძე: „დასავლეთმა დაინახა, რომ ივანიშვილი საქართველოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას ცდილობს“

გვ.2

## სენატორი ვიკერი: „შემაშფოთებელია ივანიშვილის მუქარა ოპოზიციონერების დაპატიმრების შესახებ“

გვ.2

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „უცხოელებს ქართული მიწის ყიდვის უფლება არ უნდა ჰქონდეთ!“



გვ.3

## გომელაური ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდა

გვ.4



ISSN 1987-9385

2 თამარ გაბუნია: „შესაძლებელია, ჩინეთიდან პირდაპირი რეისები შეიზღუდოს“

4 ვის გადააბარებს კრემლი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კურირებას?

5 კლუბ „შავი ვარდის“ მენეჯერი დააკავეს
მან უცხოელ ტურისტებს 31.000 ლარი გადაახდევინა

6 ჩინეთში კორონავირუსით 56 ადამიანი გარდაიცვალა

# „დასავლეთმა დაინახა, რომ ივანიშვილი საქართველოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას ცდილობს“

## შალვა შავგულიძე: „პროდასავლური პოლიტიკოსების „ოცნებაში“ დარჩენა ჩემთვის აუხსნელია“

იაგო ნაცვლიშვილი

თბილისის საკრებულოს უმრავლესობა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ლევან ხაბეიშვილს ფიზიკურად უსწორდება; პოლიციელს უწყებიდან მაღალჩინოსან ლევან იზორიას ძმის დაკავების გამო ათავისუფლებენ; იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს კი სახალხო დამცველზე იერიში იმის გამო მიაქვს, რომ ანგარიშში მისი სამინისტრო გააკრიტიკა.

ამ ყველაფრის ფონზე, დღე არ გავა, დასავლეთმა ხელისუფლება რუსეთის ინტერესებსა და არადემოკრატიულ მმართველობაში არ დაადანაშაულოს, ხან ამერიკელი კონგრესმენების წერილები ქვეყნდება, ხანაც განცხადებას ევროპარლამენტარები აკეთებენ. ეს ყველაფერი კი მხოლოდ გასული კვირის ქრონოლოგიაა.

საით მიდის ქვეყანა და გრძნობს თუ არა უხერხულობას იმის გამო, რომ ერთ დროს თეა წულუკიანი მისი თანაპარტიელი იყო? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე შალვა შავგულიძე საუბრობს.

***— ლევან ხაბეიშვილს „ოცნების“ წევრები საკრებულოში ფიზიკურად გაუსწორდნენ. როგორია თქვენი შეფასება ამაზე და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მთელი წინასაარჩევნო კამპანია ოპოზიციას ამ რეჟიმში მუშაობა მოგიწევთ?***

— ეს იყო ძალიან ულირსი საქციელი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან. რა შეფასება უნდა მისცე სხვა ამას?! ცხადი და აშკარა იყო, რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია. ისინი პირდაპირ იწვევდნენ და აყენებდნენ შეურაცხყოფას. ლევანი მიხვდა, რომ პროვოკაციას უმზადებდნენ და თავს იკავებდა, მაგრამ, როგორც კი ველარ შეიკავა თავი და საპასუხო მოქმედება განახორციელა, მაშინვე ერთობლივად დაესხნენ თავს.

ეს არის „ოცნების“ პოლიტიკა, მას ამოეწურა ყველანაირი პოლიტიკური რესურსი. მან უკვე სახე დაკარგა და იმისთვის, რომ შეინარჩუნოს რაღაც გავლენა ელექტორატზე და ვიღაცას მაინც მოაჩვენოს თავი, რომ არსებობს, ამ მეთოდებს იყენებს, ორგანიზებულ თავდასხმას და მერე ბაქიბუქობს, რომ ყველას ეს მოუვა. ეს არის სრულიად გაკოტრებული ძალის აგონია. სხვა შეფასებას ვერ მივცემ ამას.

***— ამ რეჟიმში მოგიწევთ მთელი წინასაარჩევნო კამპანია?***



— არ გამოვრიცხავ, რომ აქეთკენ წავა ეს ყველაფერი. ვინაიდან „ქართულ ოცნებას“ სხვა რესურსი არ დარჩა, ის შეეცდება, მაქსიმალურად გამოიყენოს კრიმინალური ელემენტების რაღაც გავლენა, ასევე ასეთი ერთჯერადი აგრესიული ქმედებები, მაშინ როდესაც ამ ქმედებებზე სამართალდამცავები არავითარ რეაგირებას არ ახდენენ და, პირიქით, დაზარალებულებს აძლევენ პასუხისგებაში.

ამის ნათელი მაგალითია გიგი უგულავაზე თავდასხმა, როდესაც აეროპორტის გასასვლელ ზონაში პირდაპირ სპორტსმენები მიუქსიეს და ამის გამო საქმე უგულავას წინააღმდეგ აღძრეს.

***— ლევან ხაბეიშვილმა ეს პირადად დაუკავშირა კახა კალაძეს. 2012 წელს წინა ხელისუფლების ორგანიზებით კალაძეს განსაკუთრებით უპირისპირდებოდნენ. გვახსოვს კარალეთის ინციდენტი თუ სხვა. ამ შემთხვევაში ხომ არ დაინახეთ შურისძიების ელემენტები კალაძის მხრიდან?***

— ვინაიდან ხაბეიშვილმა ეს განცხადება გააკეთა, ალბათ მან უკეთ იცის. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ბინძური დავალების შემსრულებლები საკრებულოს წევრები იყვნენ „ქართული ოცნებიდან“, ალბათ მათზე უშუალო გავლენა კალაძეს აქვს. რადგან ლევანი ასე ამბობს, ალბათ აქვს ამის განცდა და გარკვეული ინფორმაციაც.

„ოცნების“ ცენტრალური ოფისიდან მომავალს იმდენად არ ჰგავს, რამდენადაც მერიიდან მომავალ დავალებას. ვუსმინე ლევან ხაბეიშვილის ინტერვიუს და სწორი შეფასება გააკეთა — არ აქვს მნიშვნელობა ამ ადამიანების სახელებსა და გვარებს. ეს არის კრებითი ივანიშვილი, კალაძე და „ქართული ოცნება“. ამ პოლიტიკური ძალის სახის გამოვლინებაა. ხან პეტრე იქნება, ხან პავლე და ხან ივანე. ამ სახელებმა მნიშვნელობა დაკარგეს.

***— კალაძის შურისძიება თუ დაინახეთ ან თუნდაც ივანიშვილის?***

— კი, ალბათ პერსონალური შურისძიების მოტივიც არის — ის ბოღმა და გაბრაზება, რომელიც გამოიწვია ლევანის აქტიურმა ოპოზიციურმა გამოსვლებმა და იმან, რომ უშუალოდ ამხელს კორუფციულ მექანიზმებსა და გარიგებებს, უფრო მერიასა და კახა კალაძეს ეხება. შესაბამისად, აქ პიროვნული შურისძიების მომენტია.

***— პარალელურად სხვა უფრო მნიშვნელოვან პროცესებსაც ვხედავთ და ამის გადაფარვის მცდელობაც ხომ არ დაინახეთ?***

— ალბათ, ამავდროულად, ამ მიზანსაც ემსახურებოდა, მაგრამ ვერაფერ პოზიტიურ მიზანს ვერ მოვიფიქრებთ, რასაც შეიძლება ემსახურებოდეს ასეთი ულირსი საქციელი. კიდევ უფრო ცუდია მათი ცუდი საქმეების გამოაშკარავების გადაფარვის მცდელობა. ეს არის ძალის დემონსტრირების მცდელობა, პიროვნული შურისძიება. ქვეყნისთვის სასარგებლო მოტივაციას ვერც კი დავასახელებთ.

ვნახეთ თეა წულუკიანის კასკადი, ფეიერვერკი მისი დაცემის თვალსაზრისით, როგორ პიროვნული შურისძიებით სავსე ქმედებებს ახორციელებდა სახალხო დამცველის წინააღმდეგ, რაც იმან გამოიწვია, რომ ომბუდსმენმა საკუთარი ფუნქციების შესაბამისად აღნიშნა ანგარიშში, თუ რა ნეგატიური მხარეები აღინიშნება პენიტენციარულ სისტემაში.

ამან გაამწარა მინისტრი. იმდენად გამოვიდა წყობილებიდან წულუკიანი, რომ ბოლოს დანაშაულშიც კი გადავიდა. ჩანაწერების გარეთ გამოტანა, როდესაც სახალხო დამცველის წარმომადგენელი ხვდებოდა პატიმრებს ან მერე, როდესაც სახალხო დამცველი შეხვდა პატიმრებს, პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაულია. იუსტიციის მინისტრს იმდენად დაუბნელა გონება პიროვნულმა გაბრაზებამ, რომ დანაშაული ჩაადენინა. ძალიან კარგად იცის თეა წულუკიანმა, რომ ეს არის დანაშაული.

სამწუხაროდ, ეს მინისტრიც ამ ხელისუფლების შემადგენელია. ეს ხელისუფლება ყოველგვარი ლეგიტიმურობის ფარგლებს გასცდა. ეს არის საშიში ხელისუფლება, რომელიც რაც შეიძლება ჩქარა და ქვეყნისთვის ნაკლები ტრავმებით უნდა ჩამოსცილდეს ქვეყნის მართვას.

***— თეა წულუკიანი სხვანაირად ფიქრობდა მაშინ, როდესაც ის იყო თავისუფალ დემოკრატებში. პირადად არ გიქმნით უხერხულობას, რომ თანაპარტიელები იყავით?***

— გულწრფელად გეტყვით, არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობ. თანაპარტიელები ვიყავით, მაგრამ სხვებიც იყვნენ ჩემი თანაპარტიელები, რომლებიც დღეს „ქართული ოცნების“ სამსახურში არიან. მე ვიცი ის, რომ მე და ჩემი პარტიის იმ წევრებს, რომლებიც დღეს ვართ თანაპარტიელები და „თავისუფალ დემოკრატებს“ წარმოვადგენთ, არ გვიღალატია იმ დაპირებისთვის, რისთვისაც მოვედით პოლიტიკაში.

ეს იყო ის, რომ სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო უნდა აგვეშენებინა და ამას მოვახმარდით ჩვენს ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას, ჩვენს მოკრძალებულ წვლილს შევიტანდით საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ გზაზე. ჩვენ არ გადაგვიხვევია ამ დაპირებისთვის და საკმაოდ მძიმე ოპოზიციური ცხოვრებით ვცხოვრობთ. პარტიაში მყოფი ზოგიერთი ადამიანი ისე მოიქცევა თუ ასე, რა ვქნათ, ყველას თავისი ბიოგრაფია აქვს.

***— თქვენ პირადად რით ხსნით წულუკიანის რადიკალურ ცვლილებას?***

— ეს არის მისი არჩევანი. მან მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რომ დარჩენილიყო ხელისუფლებაში, მაშინ როდესაც, მაგალითად, მე ვიყავი ხელისუფლებაში, დავტოვე ფრაქცია „ქართული ოცნება“ და წამოვედი ხელისუფლებიდან. სხვებიც დარჩნენ, ზოგი მერე გადავიდა. ყველას თავისი არჩევანი აქვს.

თავიდან ხელისუფლებაში ყოფნა გაცილებით კომფორტულია, ვიდრე ოპოზიციაში წასვლა. თუ პირადი ცხოვრების მოწყობის თვალით შეხედავ, ეს არ არის ადვილი, მერე, როდესაც ჩაეფლობი ამ არასწორ პოლიტიკაში და ბევრ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## სენატორი ვიკერი: „შემაშფოთებელია ივანიშვილის მუქარა ოპოზიციონერების დაპატიმრების შესახებ“



სენატორი როჯერ ვიკერი პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას წერილს უგზავნის.

წერილი, რომელიც 19 დეკემბრით არის დათარიღებული, 25 იანვარს ნაციონალურმა მოძრაობამ გაასაჯაროვა.

სენატორის წერილში ნათქვამია, რომ პარლამენტის წევრებმა „ქართული ოცნებიდან“ ვერ მოახერხეს, შეესრულებინათ კრიტიკულად მნიშვნელოვანი დაპირება, რომ გაატარებდნენ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რაც უზრუნველყოფდა სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის დანერგვას 2020 წელს.

მასში ასევე საუბარია ბიძინა ივანიშვილის მიერ ოპოზიციის წევრების მისამართით გაკეთებულ განცხადებებზე.

„ძვირფასო პრემიერ-მინისტრო გახარია, როგორც საქართველოს ძლიერი მოკავშირე, მოხარული ვარ, რომ ვხედავ ყველა მიღწევასა და წინსვლას, რომელსაც თქვენმა ქვეყანამ ბოლო 16 წლის მანძილზე მიაღწია.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კონკრეტულმა ქმედებებმა ინსტიტუციების გაძლიერების მიზნით, მათ შორის სასამართლო რეფორმის მრავალმა რაუნდმა და სიცოცხლისუნარიანმა და ჩართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ თქვენი ქვეყანა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკად აქცია.

მე ვიცი, რომ თქვენ იზიარებთ ჩემს ენთუზიაზმს საქართველოში განგრძობადი დემოკრატიული წარმატებების შესახებ, ამიტომაც გწერთ შეშფოთებული ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო.

გასულ თვეს საქართველოს პარლამენტის წევრებმა „ქართული ოცნებიდან“ ვერ მოახერხეს შეესრულებინათ კრიტიკულად მნიშვნელოვანი დაპირება, რომ გაატარებდნენ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომელიც უზრუნველყოფდა სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის დანერგვას 2020 წელს.

ეს საარჩევნო ცვლილებები სარგებლობს ფართო მხარდაჭერით ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო დემოკრატიაც მას უჭერს მხარს, რადგან მიაჩნია, რომ ის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მულტიპარტიული დემოკრატიის გამყარებისთვის.

სამწუხაროდ, ცვლილებების გასაოცრად ჩავარდნამ უკვე გამოიწვია საჯარო ნდობის რღვევა მომავალი წლის არჩევნებისადმი. შემაშფოთებელია ასევე ბოლოდროინდელი სიჭარბე სისხლის სამართლის დევნისა, რომელიც პოლიტიკური ოპონენტებისა და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების წინააღმდეგაა მიმართული.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები, რომლებითაც ის ოპოზიციას პატიმრობით ემუქრება, აღრმავებს შფოთვას სასამართლო საქმეების შერჩეული დროისა და პირობების შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი ოპოზიციური ლიდერების წინააღმდეგ, როგორებიცაა გიგა ბოკერია და ნიკა მელია.

გასულ კვირას „ქართული ოცნების“ მიერ ცალმხრივად უვადოდ 14 უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დანიშვნა, მიუხედავად სერიოზული კითხვებისა, რომელიც მათ იურიდიულ კვალიფიკაციას ეხება, ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას კანონის უზენაესობისადმი. დამტკიცებული მოსამართლეების ასეთი დიდი რაოდენობა ასევე აღემატება „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების იმ რაოდენობას, რაც საჭიროა, უზენაესი სასამართლოს მუშაობისთვის“, როგორც ვენეციის კომისიის რეკომენდაციებშია მითითებული, როცა მოსამართლეების შერჩევისადმი საზოგადოების დაბალ ნდობაზე საუბრობდა. მაშინ, როცა არჩევნები ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში უნდა გაიმართოს, მე მოვუწოდებ თქვენს მთავრობას, რომ იჩქაროს საარჩევნო სისტემის მიღება, რომელიც ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერით ისარგებლებს და უზრუნველყოფს თანაბარ წესებს ყველა მოთამაშისთვის.

თუ მსგავსი ზომები არ მიიღება, უნდობლობამ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუციების მიმართ, შესაძლოა, ძირი გამოუთხაროს მომავალი წლის არჩევნების ლეგიტიმურობასა და ქვეყნის სასამართლოს გამჭვირვალობას. როგორც ჩვენი ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის დიდი ხნის დამცველს, მსურს ვნახო საქართველო, რომელიც აგრძელებს სწრაფვას თავისუფალი და წარმატებული საზოგადოებისთვის, უსაფრთხოდ თავის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

თანამშრომლობის ამ სულისკვეთებით, იმედი მაქვს, თქვენ სერიოზულად განიხილავთ ამ შეშფოთებას და გარანტირებულად უზრუნველყოფთ სიტყვის, პრესის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას, რაც შესაბამისობაში მოდის საქართველოს, როგორც ეუთო-ს წევრი ქვეყნის ვალდებულებებთან“, — ნათქვამია წერილში.

## თამარ გაბუნია: „შესაძლებელია, ჩინეთიდან პირდაპირი რეისები შეიზღუდოს“



— შესაძლებელია, დადგეს საჭიროება, რომ ჩინეთიდან პირდაპირი რეისები შეიზღუდოს და კიდევ უფრო გამკაცრდეს ტრანზიტული ქვეყნებიდან მგზავრების კონტროლი.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ განაცხადა.

მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია, რომლის განხილვაც მოხდება, იქნება მოგზაურობის შეზღუდვები.

— ვირუსის გადაცემის შემთხვევები ჩინეთში გაიზარდა. რა თქმა უნდა, ჩინეთი ძალიან მკაცრ რეაგირების მექანიზმებს იყენებს და ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რაც მეტად მკაცრი იქნება ჩინეთი, მით უფრო დაცულია სხვა ყველა ქვეყანა.

ჩვენ რაც შეგვეხება, პირველი რეკომენდაცია, რომელსაც 27 იანვარს განვიხილავთ, იქნება მოგზაურობის შეზღუდვა. ამის შესახებ რეკომენდაციები უკვე გავრცელდა და ჩვენ ვურჩიეთ მოქალაქეებს, რომ თავი შეიკავონ მოგზაურობისგან ისეთ ქვეყნებში, სადაც რისკი მაღალია.

ზოგადად, შესაძლებელია, დადგეს საჭიროება, რომ ჩინეთიდან პირდაპირი რეისები შეიზღუდოს და კიდევ უფრო გამკაცრდეს ტრანზიტული ქვეყნებიდან მგზავრების კონტროლი, — განაცხადა გაბუნიამ.

მისივე თქმით, ყველა შემოსული მგზავრის შემოწმება თერმული სკრინინგით სავალდებულო არ არის, მოწმდებიან ჩინეთიდან ჩამოსული მგზავრები, ტრანზიტული თუ პირდაპირი რეისებით.

— ასევე ყველა მგზავრისთვის არის ინფორმაცია, როგორ უნდა მოიქცნენ იმ შემთხვევაში, თუ მათ აღმოაჩნდებათ ვირუსის სიმპტომები, — აღნიშნა გაბუნიამ.

ჩინელმა მეცნიერებმა შეძლეს დაედგინათ, რომ კორონავირუსის სავარაუდო წყარო გარეული ცხოველები არიან.

კორონავირუსი აღმოჩენილია ქალაქ უხანის ზღვის პროდუქტების ბაზრიდან აღებულ სახეობებში.

ზღვის პროდუქტების ბაზრიდან აღებული 585 სახეობიდან 33-ში აღმოჩენილია კორონავირუსის ნუკლეინმჟავა. ამ სახეობებიდან შესაძლებელი გახდა ვირუსის გამოყოფა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ვირუსის წყარო გარეული ცხოველები არიან, რომლითაც ხუანანის ბაზარზე ვაჭრობენ.

კორონავირუსის ახალმა ტიპმა დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ახალი მახასიათებლები შეიძინოს, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში რისკის ხარისხი, შესაძლოა, შეიცვალოს.

ამის შესახებ გუშინ, 26 იანვარს, ჩინეთის ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მა სიაოვეიმ განაცხადა.

— ვინაიდან ეს ინფექციური დაავადების ახალი ტიპია, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ვირუსის ცვლილების შესაძლებლობა არსებობს. შესაძლოა, გამოვლინდეს ახალი გარემოებები. ასევე, შეიძლება, შეიცვალოს ვირუსის საფრთხის ხარისხი ადამიანთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის, — აღნიშნა მა სიაოვეიმ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „პრემიერი წულუკიანი იქნება თუ გახარია, ამით არაფერი შეიცვლება“

## გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება პოლიტიკურ ბუნკერში ჩავიდა და ზარბაზანს იქიდან გვიშენს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გია, ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურა მაღლა იწევს. გასულ კვირას საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციის დეპუტატი ხაბეიშვილი დეპუტატმა კოლეგებმა ცემეს. შეიძლება, ძალადობა ასეთი ღია და აშკარა გახდეს?***

– სამწუხაროდ, ტენდენცია შემაშფოთებელია. ტემპერატურა სულ უფრო მაღლა იწევს. შემაკავებელი ფაქტორი არ არსებობს. ხელისუფლება პოლიტიკური აფექტის მდგომარეობაშია, რაც გამოწვეულია ძალაუფლების დაკარგვის შიშით. შესაბამისად, ეს აგონიაც ამის შედეგია.

სამწუხაროდ, ამ ძალადობის მსხვერპლი მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა არ არის, მთლიანად საზოგადოებაა. ხელისუფლება უკვე ყველას ნაციონალურ მოძრაობასთან აიგივებს. ნაციონალურ მოძრაობასთან აიგივებს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით მათ ოპონენტებს, საზოგადოებას, არამედ ყველას, ვინც მასთან არ არის, ამერიკელ კონგრესმენებსა და ევროპარლამენტარებს. უკვე მთელი სამყარო მათთვის ნაციონალურ მოძრაობად იქცა. მთელი სამყარო, მათი აღქმით, მათთან დაპირისპირებაშია. ამიტომ ისინი მზად არიან აგრესიისთვის ნებისმიერი მიმართულებით.

აფექტის მდგომარეობა, რომელშიც დღეს ხელისუფლებაა, სახელმწიფოსთვის ძალიან სახიფათოა. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს აღარაფერზე ფიქრობენ, გარდა ძალაუფლების შენარჩუნებისა. აქტიური თავდაცვა მათთვის აქტიურ თავდასხმას ნიშნავს.

წულუკიანის შეტევა სახალხო დამცველზე, აბსოლუტურად არაადეკვატური, ამის ნათელი მაგალითია. იგივე დასავლეთის კრიტიკისადმი რეაგირება, ამერიკის ყველაზე სოლიდური ინსტიტუტების ნაცმოძრაობად შერაცხვა – ეს ყველაფერი ძალიან შემაშფოთებელია.

***– ეს რიტორიკა ცუდ სამსახურს უწევს „ქართულ ოცნებას“ თუ, პირიქით, მთელი სამყაროს ნაციონალურ მოძრაობასთან გაიგივება მუშაობს და მომგებიან პოზიციაში აყენებს?***

– ეს პოლიტტექნოლოგია არახალია, დიდი ხანია, უკვე გამოყენებულია. ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია, რასაც კარგად ებმის სისხლიანი 9 წელი, 2 ბოროტებას ისევ მე ვჯობივარ.

### „ქართული ოცნება“ გვეუბნება, რომ ამერიკელი კონგრესმენებიც ნაციონალური მოძრაობაა“

ამ ნარატივმა აქამდე იმუშავა, მაგრამ იმუშავებს კი მომავალში?!

***– რატომ არ იმუშავებს?***

– უკვე ძალიან მასშტაბური გახდა. ეს უკვე პოლიტტექნოლოგია კი არ არის, უკვე „ოცნების“ ცხოვრების სტილი გახდა. დღეს „ქართული ოცნება“ გვეუბნება, რომ ამერიკელი კონგრესმენებიც ნაციონალური მოძრაობაა.

ეს უკვე ძალიან კომიკური გახდა. ამაში ისიც არის დამნაშავე, რომ ხელისუფლებაში ინტელექტუალური დონე ძალიან დაეცა. სტერილურები გახდნენ, პოლიტიკურ ბუნკერში ჩავიდნენ და იმ ბუნკერიდან ცდილობენ, ზარბაზნები დაგვიშინონ.

***– ამ ფონზე გამოდის, რომ მოლაპარაკებები ოპოზიციასთან საარჩევნო სისტემაზე მხოლოდ ფასადია?***

– იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლების პოლიტიკის დღის წესრიგში დღეს მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაა და სხვა არაფერი, მე არაფრის მოლოდინი არ მაქვს.

ეს აშკარად ჩანს. სახელმწიფოებრივი ამოცანები, პოზიტიური დღის წესრიგი ხელისუფლებისთვის დღეს არ არსებობს. ის გადარჩენას მხოლოდ მაჟორიტარულ არჩევნებში ხედავს, შესაბამისად, არაფრის შეცვლას არ აპირებს.

„ოცნებისთვის“ ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად იქცა. ამიტომაც წავიდნენ ასეთ რეპუტაციულ ზიანზე. ძალიან უხარისხოდ ცდილობენ, მოლაპარაკებების იმიტაცია შექმნან. ამას უფრო დასავლეთის დასანახად აკეთებენ. შიგნით არავინ და არაფერი არ აინტერესებთ.

თუმცა ესეც მათი მხრიდან წყლის ნაყვაა, რადგან იმდენად ადვილად დასანახი თამაშია, რომ ყველამ ყველაფერი კარგად დაინახა. დასავლეთმა დაინახა, რომ საქართველოში პროვინციული დიქტატურაა, ინსტიტუციური წესრიგი აბსოლუტურად მორღვეულია.



***– რამდენად რეალური შეიძლება იყოს ინფორმაცია, რომ თეა წულუკიანი პრემიერი გახდეს?***

– ამაზე საერთოდ არ გავაკეთებ კომენტარს. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პრემიერი! ნეგატივებს, რეიტინგებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ყველას კარგად ესმის, რომ „ქართული ოცნება“ და ხელისუფლება არის ერთი ადამიანი. ყველაფერი შეცვლადია, ყველაფრის გადაგდება და უკან დაბრუნება შეიძლება, მაგრამ, ხომ გასაგებია, რომ „ქართული ოცნება“ მხოლოდ ერთ ადამიანს უდრის! გარდა იმ ერთი ადამიანისა, ყველა შეცვლადია.

ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ სად და როგორ იქნება! ეს მმართველობითი სისტემა ინსტიტუციურ წესრიგს გამორიცხავს. წულუკიანი იქნება თუ გახარია პრემიერის კაბინეტში, ხომ ამით არაფერი შეიცვლება!

ამიტომ, არათუ უკან დახევაზე არ ფიქრობენ, საერთოდ გათიშულები არიან და ისე მოქმედებენ.

ეს კიდევ უფრო თვალნათელი გახდება.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „უცხოელებს ქართული მიწის ყიდვის უფლება არ უნდა ჰქონდეთ!“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პასუხობს.**

***– ბატონო დიმიტრი, 1 იანვრიდან უცხოელებზე მიწის გაყიდვა დაშვებულია. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია ამის შესახებ?***

– გარკვეული დროით მორატორიუმი იყო გამოცხადებული. სასოფლო-სამეურნეო მიწების მარეგულირებელი ნორმა გახლავთ ორგანული კანონი. 2020 წლის 1 იანვრიდან, მთავრობის დადგენილებით, ორგანული კანონის თანახმად, კონკრეტულ უცხოურ კომპანიებს სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესაძლებლობა ეძლევათ.

მე მივმართე საჯარო რეესტრს, არის თუ არა სასოფლო-სამეურნეო მიწების გაცემისა და რეგისტრაციის თუნდაც ერთი ფაქტი 1 იანვრიდან დღემდე. პასუხი მექნება ხუთშაბათს.

ალნიშნული კანონით, უცხო ქვეყნის კომპანიებს, რომელიც ოპერირებენ საქართველოში, უჩნდებათ საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობა. ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, მოხდა თუ არა ასეთი რეგისტრაცია 1 იანვრიდან დღემდე.



***– რა ტიპის ორგანიზაციებს ეძლევათ მიწაზე საკუთრების მოპოვების უფლება?***

– ეს უფლება შეიძლებოდა შეხებოდათ ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ბანკებს, რომლებიც დაფუძნებული არიან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ. ისინი სესხის გაცემის უზრუნველყოფის საგნად იღებენ, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწებს.

თუკი სესხის მიმღები ვერ ემსახურება ვალს, მაშინ, ბუნებრივია, ეს მატერიალური აქტივი გადადის უცხო ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტის საკუთრებაში, რომლის უკან დგანან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირები. შესაბამისად, ეს რეგულაციაც სწორედ მათთვის არის. ორგანული კანონით გათვალისწინებული ნორმით, მთავრობის დადგენილებით, რეკომენდაციის დონეზე ამა თუ იმ ინსტიტუტისთვის ხდება ამა თუ იმ პრეფერენციის განსაზღვრა, ვის შეუძლია და ვის – არა.

***– ამის დაშვება ჩვენთვის სახიფათოა?***

– ცხადია. საქმე გვაქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების დასაკუთრებასთან. ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, სასოფლო-სამეურნეო მიწას პირდაპირი მიყიდვის წესით დაისაკუთრებს კომპანია თუ ირიბად – საფინანსო კომპანიის დარეგისტრირების გზით, ვალის დაფარვის სანაცვლოდ მიითვალოს თავის აქტივებში.

ორივე შემთხვევა შედეგის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ზიანს აყენებს ქართული სახელმწიფოს მომავალს. არც ერთ ევროპულ სახელმწიფოში სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხო ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე არ ხორციელდება. მეზობელი სომხეთის კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ვერ შეიძენს მიწას სომხეთში.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში, მაგალითად, ლიტვაში მიწის მესაკუთრე შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი და ლიტვის მოქალაქე.

***– უშვებთ თუ არა, რომ დიდი ოდენობით ინვესტიციის შემომტან უცხოურ კომპანიას მიწა გადაეცეს იჯარით, ვთქვათ, 50-100 წლით?***

– ძალიან კარგი მაგალითია ევროკავშირის წევრი ქვეყნის, ავსტრიის, გამოცდილება, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწების მფლობელები არიან მხოლოდ ადგილობრივი კომპანიები. ნებისმიერი უცხოური კომპანია ოპერირებს საინვესტიციო პირობით, მხოლოდ ადგილობრივ კომპანიებზე დაყრდნობით. ისე, რომ უცხოური კომპანია გახდეს მიწის მფლობელი ავსტრიაში, ნონსენსია. შესაბამისად, ჩვენ უნდა გამოვიდეთ ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებიდან.

***– ე.ი. თქვენ იჯარასაც გამორიცხავთ?***

– არც იჯარით უნდა გადაეცეთ, მით უმეტეს – გრძელვადიანით. მიწა, როგორც მილევადი და ამოწურვადი რესურსი, 50 წლით სარგებლობის შემდეგ გამოუსადეგარი გახდება ქართული სახელმწიფოს ინტერესებისა და მიზნებისთვის.

აქედან გამომდინარე, იჯარა იქნება თუ საკუთრების უფლებით მოსარგებლეობა, ამის უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ქართულ იურიდიულ სივრცეში დაფუძნებულ კომპანიებს.

ნებისმიერი სხვა კომპანია შეიძლება მონაწილეობდეს ბიზნესის განვითარებაში არა საკუთრების უფლებით, არამედ წილობრივი მონაწილეობით, ისე, როგორც ეს ხდება არაბთა გაერთიანებულ საემიროებში.

# „დასავლეთმა დაინახა, რომ ივანიშვილი საქართველოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას ცდილობს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რამეში გაისვრები, ალბათ სხვა გზა აღარ გრჩება და ბოლომდე იქ ხარ. ყველა ადამიანი თვითონ ქმნის თავის ბიოგრაფიას. მთავარი ჩემთვის არის ერთი რამე – აღარ იმალება არაფერი.

სანამ შესაძლებელი იყო იმის გამართლება, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ასრულებს რუსულ დავალებას და ეს ხელისუფლება არ ემსახურება რუსულ ინტერესებს, სანამ ამის დაფარვა რაღაცნაირად ხერხდებოდა, მანამდე კიდევ შეიძლებოდა, რაღაც გამართლება ჰქონოდათ ადამიანებს, რომლებიც მანამდე აშკარა პროდასავლურ ორიენტაციას აფიქსირებდნენ.

მას შემდეგ, რაც უკვე აშკარა გახდა ეს და ამაზე უკვე მთელ მსოფლიოში საუბრობენ და ყველა ხედავს, რომ ეს ხელისუფლება ოკუპანტის ინტერესებს ემსახურება, ამ პირების იქ დარჩენა ჩემთვის აუხსნელია.

***– ბოლო დღეებში განსაკუთრებით მწვავე განცხადებები კეთდება დასავლეთისგან – იქნება ეს აშშ თუ ევროკავშირი. ცალკე დემოკრატიის ინდექსზე ქვეყნდება ანგარიში, რომელშიც ასევე სავალალო მდგომარეობა გვაქვს. რა ნიშნავს ეს ყოველივე?***

– ეს ნიშნავს იმას, რომ ბიძინა ივანიშვილმა უკვე ვეღარ დამალა თავისი რეალური ზრახვები და რეალური პოლიტიკური ორიენტაცია. დასავლეთმა დაინახა, რომ დღევანდელი ხელისუფლება აფერხებს დასავლური ინტეგრაციის კურსს, ყველანაირად ხელს უშლის ამ მიმართულებას და ცდილობს, რუსულ ორბიტაზე დააბრუნოს ქვეყანა.

თავიდან დასავლეთმა დაიწყო ფრთხილი შენიშვნებით, შემდეგ – უფრო მკაცრით, მერე კიდევ გაამკაცრა და ალბათ კიდევ უფრო მკაცრი მოქმედებებიც მოჰყვება, სავარაუდოდ, სანქციების სახით და ა.შ. საბოლოოდ კი ეს იმით დასრულდება, რომ „ქართული ოცნება“ დაკარგავს ხელისუფლებას.

შეუძლებელია, ხალხის ნებას დაუპირისპირდეს და მოერიოს ერთი ადამიანისა და მის ირგვლივ შემოკრებილი რამდენიმე პირად ყოფაზე მოფიქრებულ ადამიანის სურვილი და ნება. ქართველმა ხალხმა ეს არჩევანი უკვე მკაფიოდ გააკეთა.

ჩვენ ამისთვის დიდი ფასიც გვაქვს გადახდილი, თუნდაც ჩვენს 30-წლიან ისტორიას თუ გადავხედავთ, რაც თავი დავაღწიეთ საბჭოთა კავშირს. ეს იყო ორი ომი რუსეთთან, დროებითი, მაგრამ მაინც დამარცხება, რასაც მოჰყვა ძალიან დიდი ადამიანური მსხვერპლი, დევნილობა საკუთარ ქვეყანაში, თუნდაც ეკონომიკური გაჭირვება, რა დღეშიც ჩააგდო რუსეთმა საქართველო. ეს ხომ ქართველმა ხალხმა გადაიხადა და მაინც მიდიოდა ყოველთვის დასავლური ინტეგრაციის კურსით და არ გადაუხვევია ამ გზიდან.

ჩვენ რამდენიმე ხელისუფლება შევიცვალეთ. ზოგს ერთი მოგვწონდა, ზოგს – მეორე და ა.შ. ძალიან რადიკალური დაპირისპირებებიც იყო, მაგრამ ქართველ საზოგადოებას იმ საშიშროების განცდა არასდროს გასჩენია, რომ ქვეყანა დასავლურ კურსს ცვლიდა და რუსეთისკენ ბრუნდებოდა.

მხოლოდ ივანიშვილის ხელისუფლების პირობებში დაინახა საქართველომ ეს ხიფათი. მანამდე ასეთი ხიფათი და საშიშროება არ არსებობდა, ყველა ხელისუფლება მყარად ადგა დასავლური ინტეგრაციის გზას. მხოლოდ ივანიშვილმა გაბედა ხალხის ინტეგრაციის წინააღმდეგ წასვლა, ხალხის, რომელსაც ამხელა ფასი აქვს გადახდილი. რა თქმა უნდა, ეს ივანიშვილს არ გამოუვა. ერთი ადამიანის სურვილი, რაც უნდა ბევრი ფულით იყოს გამაგრებული, ვერ მოერევა მთელი საზოგადოების სურვილსა და ნებას.

მეორეც, ვის იმედად მოქმედებს ივანიშვილი? – ერთადერთი მოკავშირე ჰყავს, რუსეთი, ქართველ ხალხს კი – მთელი დასავლური, ცივილიზებული სამყარო, რომელშიც ყველა პარამეტრით რუსეთზე გაცილებით ძლიერი სახელმწიფოები შედიან, იქნება ეს ეკონომიკური, სამხედრო თუ დემოკრატიის ხარისხი.

ასე რომ, ეს აუცილებლად დამთავრდება ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ დამარცხებითა და ქართველი საზოგადოების გამარჯვებით.

უბრალოდ, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლები რყევებისა და დანაკარგის ფასად მოხდეს ეს და რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გავიაროთ ეს სახადი, რომელიც დაგვემართა ივანიშვილისა და მისი „ოცნების“ ხელისუფლების სახით.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# ალეკო ელისაშვილი: „თეა წულუკიანი მავნებელ ორლობის დედაკაცად ჩამოყალიბდა“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ალეკო ელისაშვილი პასუხობს.**

***– ალეკო, ყოველდღე კრიტიკული წერილი წერილზე მოდის ამერიკელი კონგრესმენებისგან. რატომღაც „ოცნება“ ამ ყველაფერს არ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას. ძალიან აგდებული პასუხებია მისი მხრიდან. რამდენად მწვავედ დგას დღეს ეს საკითხი და რატომ არ რეაგირებს ამ ყველაფერზე ხელისუფლება?***

– კონგრესმენების შენიშვნებს, მითითებებს აბუჩად იგდებ, დასცინი კიდეც, მე მგონი, შეცდომაში არიან შესული და ვერ ხვდებიან, რა ხდება. ასეთი რაღაცები ძალიან ცუდად მთავრდება ხოლმე ყველასთვის.

პირდაპირი პარალელი არ არის, მაგრამ ორი კვირის წინ ვუყურებდი, ირანელი გენერალი რომ იყო, ქასემ სოლეიმანი, რომ აზანზარებდა მთელ აღმოსავლეთს. აი, იმ კაცის ჩანაწერი მომასმენინეს, როგორ გამოდის სიკვდილამდე ორი დღით ადრე და ყომარბაზს ეძახის ტრამპს, შულერიაო. რანაირი შულერია ტრამპი და როგორ დაამთავრა სოლეიმანმა, ყველამ ვნახეთ.

***– ამ პარალელს რატომ ავლებთ?***

– არ შეიძლება ასე აგდებულად ლაპარაკი. ჯერ ერთი, საკუთარ ხალხს არ უნდა ელაპარაკებოდე აგდებულად, იმას არ უნდა ჩადიოდე, რასაც ჩადიხარ, მით უმეტეს, კონგრესმენებს არ უნდა ელაპარაკო ასე და არ უნდა იძახო, ეს ერთი კონგრესმენის აზრია და მეორეს აზრი არ არისო. წერილები დაახვავეს, დღეში რამდენიმე კონგრესმენი წერს ასე.

სოლეიმანს კეფაში დაუმიზნეს რაკეტა და ბიძინა ივანიშვილს იმ რაკეტას დაუმიზნებენ, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინია.

***– ანუ?***

– გაუუყინავენ ანგარიშებს და იყოს მერე ისე. საშუალო სტატისტიკურ ქართველზე უფრო ღარიბი იქნება, წავიდეს, სესხები აიღოს ბანკში და ნახოს მერე, ნორმალური ქართველები როგორ ცხოვრობენ.

***– სანქციებს დაუწესებენ?***

– პირდაპირ თქვეს. რამდენჯერ გაიჟღერა უკვე, ჩვენ უკვე ვფიქრობთ და სულ უფრო ხშირად ვსაუბრობთ სანქციების დაწესებაზეო.

სანქციების დაწესებას ცოტა აგდებულად შეიძლება რუსეთი შეხვდეს, ამხელა ქვეყანაა. ჩვენ ერთი დაცემინება საქართველო ვართ და ერთადერთი მდიდარი ტიპია ივანიშვილი. გადაუკეტავენ ფინანსურ ანგარიშებს და უყაროს მერე კაკალი ყველას.

თან რას გვეუბნებიან, რამე სისულელეს ხომ არ მოითხოვენ ჩვენგან?! ეუბნებიან ბიძინას, შენს ხალხს პირობა რომ მიეცი პროპორციულ



**„ბიძინა ივანიშვილს იმ რაკეტას დაუმიზნებენ, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინია“**

არჩევნებზე, ის პირობა შეასრულე, თავს ნუ იგდებ ამ მოლაპარაკებებზეო.

აქ იგულისხმება, წულუკიანი და სხვები როგორც გველაპარაკებიან, რომ თუ არ დათანხმდებით, რაც გითხარით, გამოიგლოვეთ თქვენი პროპორციული და ასე შემდეგო. ასე აგდებულად ლაპარაკი არ შეიძლება.

***– პირდაპირ თქვა ერთმა სენატორმა, საქართველოს კორუმპირებული მთავრობა ჰყავს და ქართველი ხალხი უკეთესს იმსახურებსო.***

– კი ბატონო, მეტი რა გვითხრან, მაინცდამაინც რაკეტა უნდა მოხვდეს რომელიმეს კეფაში?! ღმერთმა დაგვიფაროს, ეს არც გვინდა არავის. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ ნუ გაიჩალიჩებენ სანქციებს, რადგან ეს სანქციები მათთვის ძალიან მტკივნეული იქნება.

***– ალეკო, აცნობიერებს ივანიშვილი, რეალურად რა საფრთხეებზეა საუბარი? იქნებ არ ეუბნება გარემოცვა სიმართლეს?***

– 21-ე საუკუნეა, ჭურში ხომ არ ცხოვრობს?! ინტერნეტია, ტელეფონი და ყველაფერზე ხელი მიგიწვდება, რა იყო, გამოკეტილი ხომ არ ჰყავთ ლაშა ნაცვლიშვილსა და გოგა ხაინდრავას სადმე სარდაფში!

***– ჩვენთან ხომ ასე მონათლეს ეს კრიტიკა, რომ ეს არის ფეისნიუკებზე აგებული წერილები. იქნებ ივანიშვილსაც ეს დააჯერეს?***

– სხვათა შორის, იმ ფეიკნიუსებზეც მაგრად მოხვდათ ცხვირში. კონგრესმენებიც ამბობენ, რა უბედურებაა, რომ პრორუსულ და ანტიდასავლურ გვერდებს მართავდა „ქართული ოცნებაო“. ამით საერთოდ მოიჭრეს იმათ თვალში თავი, იმიტომ, რომ ასეთი რამ მათთვის გამაოგნებელი და წარმოუდგენელია.

აზრზე უნდა მოვიდნენ. ეს არის გაფრთხილება. ხომ ვხედავთ, რომ უკვე დიპლომატიური ენით აღარ ელაპარაკებიან. ძალიან პირდაპირ

**„ჩემდა სამწუხაროდ, იყო დრო, როცა წულუკიანს ვაქებდი და ვადიდებდი, თავზეხელაღებული ვუჭერდი მხარს“**

ელაპარაკებიან. ასეთი ლაპარაკის შემდეგ არის ხოლმე სანქციები.

***– ტონი საკმაოდ მკაცრია, რაც უჩვეულოა ნამდვილად, რადგან მათი ტონი ყოველთვის დიპლომატიურ ჩარჩოებში ჯდებოდა.***

– დიახ, ასეა. არანაირი ფრთხილი მინიშნებები აღარ არის, პირდაპირ ეუბნებიან, სანქციებს დაგიწესებთ, კორუმპირებული მთავრობა ხართ და ქართველი ხალხი სხვას იმსახურებსო. ეს უკვე ბოლო ეტაპია.

***– რა იქნება ამის შემდეგ?***

– ამის შემდეგ იწყება სანქციები! განა რას ითხოვენ? ითხოვენ, ნორმალურად დაელაპარაკეთ საკუთარ მოსახლეობას და ხელი შეუწყვეთ დემოკრატიასო. რას ვუყურებთ ამის მაგივრად?! იზორია გატრუნულია თავისი გარეწარი ძმის გამო. მისი ოჯახის წევრები ამბობენ, ფსიქიკურად დაავადებულიაო და ვითომც არაფერი, პასუხს არავის აგებინებენ.

***– გასული კვირა სკანდალებით იყო დატვირთული. იქით იზორია, აქეთ წულუკიანი...***

– ასეა. თეა წულუკიანი პირდაპირ სისხლის დანაშაულის ჩადენაზე მიდის, ასაჯაროებს სახალხო დამცველის ვიზიტს. აგერ ხაბეიშვილი ათმა კაცმა გაიგდო წიხლქვეშ, გატყიპა და კაციშვილს პასუხი არ მოსთხოვეს, მაშინ როდესაც სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის, ოხანაშვილს რომ მიაყენა, ციხეში ჩასვეს ლელოს წარმომადგენელი. ამ ნაძირლებმა კი, ამდენმა კაცმა, გაიფინეს, წიხლით სცემეს ხაბეიშვილს და ვითომც არაფერი, პასუხსაც კი არ სთხოვენ.

ასე თუ გააგრძელებენ, მიიღებენ ისეთ სანქციებს, რომ ძალიან მალე დამთავრდება მაგათი ამბავი!

***– წულუკიანი-ლომჯარიას სკანდალზე რას იტყვით, რა ხდება? რატომ გაუსაჯაროეს ეს კონფიდენციალური ინფორმაცია?***

– ჩემდა სამწუხაროდ, იყო დრო, როცა წულუკიანს ვაქებდი და ვადიდებდი, თავზეხელაღებული ვუჭერდი მხარს. მაშინ ნაძალადევში იყრიდა ის კენჭს, 2012 წლის ოქტომბერში. რაც ძალი და ღონე მქონდა, მისი მხარდამჭერი ვიყავი.

ჩვენ თვალწინ ეს ადამიანი ასე მორალურად და პოლიტიკურად დეგრადირდა აბსოლუტურად. რაღაც მავნებელ ორლობის დედაკაცად ჩამოყალიბდა ერთ დროს სახელიანი იურისტი.

თუ ასე გააგრძელებს, ციხით დაამთავრებს წულუკიანი! სისხლის სამართლის დანაშაულია, რასაც სახალხო დამცველის მიმართ აკეთებს, სისხლის სამართლის დანაშაული! აუცილებლად მოუწევს ამაზე პასუხისგება. რატომ ვერ ხვდებიან, რომ რასაც ისინი ჩადიან, დანაშაულია, რომ ასე არ შეიძლება. ჩვენ გვინდა, ვიცხოვროთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ყველა კანონს იცავს. რა, ბევრს ვითხოვთ?!

***– იზორიების სკანდალზე რას ფიქრობთ? მაქსიმალურად შეეცადნენ, გადაეფარათ ეს თემა.***

– ვერ მიჩქმალავენ და ვერ გადაფარავენ. ამ თემას გაგრძელება აუცილებლად ექნება, სანამ ყველა არ აგებს პასუხს, იზორიას თამადობით, იმ საზიზღრობაზე, რომელიც ჩვენ ვიხილეთ.

ამ ადამიანმა პოლიციელს აგინა, აფურთხა, არაფხიზელ მდგომარეობაში, დიდი ალბათობით, ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ იყო, საჭესთან იჯდა, ამის შემდეგ ბოდიშებით ათავისუფლებენ და იმ პოლიციელზეა ზეწოლა და მერე საერთოდ გააგდეს ის პოლიციელი სამსახურიდან.

ამაზე ყველამ უნდა აგოს პასუხი და იზორიამ უნდა აგოს პირველ რიგში! ამის შემდეგ რა გააკეთეს?! „ნარუშილოვკა“ მისცეს.

***– ანუ?***

– ანუ ნებისმიერ დარღვევაზე ხელი აქვს ბიჭს გაშლილი. ეს ასე მარტივად არ დამთავრდება და ასე მარტივად არ ჩაივლის. ეს ნაძირლები! როგორ შეიძლება, პოლიციის ოფიცერს ასე მოექცე, რომ თავზე დაასვა ვიღაცა ნაძირალა! თუ ფსიქიკურად დაავადებული იყო, როგორც დღეს მისი ოჯახის წევრები ამბობენ და ეს უსინდისო სოფო კილაძე რომ ამბობს, მაშინ „ნარუშილოვკა“ რატომ მისცეს?! ან მართვის უფლება რატომ ჰქონდა ამ წლების განმავლობაში, რატომ გადაადგილდებოდა? რომელი ოპერატიული მუშაკი ეგ მყავს. ნარკომანს, ნაძირალას აძლევ ყველაფრის უფლებას!

ასე რომ, ყველას მოუწევს პასუხისგება, სოფო კილაძესაც მოუწევს ახსნა-განმარტებები და დამალულ, ჩასუქებულ ბურვაკს რომ დაემსგავსა, იმ ლევან იზორიასაც აუცილებლად მოუწევს პასუხისგება მაგაზე!

***– ალეკო, გამოდის, რომ საკმაოდ მძიმე გაზაფხული ელის ხელისუფლებას.***

– ძალიან სერიოზული გაზაფხული ელის! ახლა 4 თებერვლიდან აქციები, პროტესტი განახლდება.

***– შემოღობეს პარლამენტი, ფიქრობენ, რომ ამით შეაკავებენ ხალხის პროტესტს?***

– ჰო, მაგრები არიან ძალიან. კალაძეს, ეტყობა, ყანაში მუშაობა მოენატრა, ცხენისწყლის პირას რომ დარბოდა თოხით ხელში და ყანის გაშენება მოინდომა პირდაპირ პარლამენტის წინ!

დასთანხმდნენ პროპორციულს, თორემ გაცილებით უფრო დიდ მძვინვარებას მიიღებენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარედან!

# ვის გადააბარებს კრემლი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კურირებას?

მარიამ მჭედლიშვილი

**რუსეთის პრეზიდენტმა თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი მოხსნა. საქართველოში ეს საკითხი საინტერესოა იმიტომ, რომ სურკოვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ებარა. 12 იანვარს, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ნებაყოფლობით გადადგომის დღეს, სურკოვი სოხუმში ჩავიდა. მანამდე ხაჯიმბას პოსტის დატოვება საზოგადოებამ და ოპოზიციის ლიდერებმა მოსთხოვეს.**

არაოფიციალური ინფორმაციით, მოსკოვს ოკუპირებულ რეგიონში ახალი დაპირისპირება არ აწყობდა და ხელმძღვანელობამ ხაჯიმბას სურკოვის პირით წასვლა უბრძანა.

„ახალი თაობის“ რესპონდენტი ინტერვიუში უკვე 2019 წლის ბოლოს ამბობდა, რომ პუტინმა სურკოვი შერისხა. ამის მიზეზი საქართველო გახდა. საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტების გარდა, სურკოვი კრემლის ფარულ დავალებებსაც ასრულებდა და აკონტროლებდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს.

სურკოვისა და რუსი პოლიტტექნოლოგების მონაწილეობით ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩაფიქრებული იყო ხელისუფლების გადაბარება. ამისთვის მიმდინარეობდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების პროვოცირება. რუსეთის გეგმა სურკოვის ზედამხედველობით რამდენიმეჯერ ჩავარდა, რამაც პუტინის რისხვა გამოიწვია.

რუსი ანალიტიკოსები ამ მიზეზზე არ საუბრობენ. ისინი სურკოვის გადაყენების რამდენიმე ვერსიას ასახელებენ. პირველი – უკრაინის პრობლემის მიმართ რუსეთის მიდგომების შეცვლა, მეორე – დუღილი აფხაზეთში, მესამე – აპარატის ომის წაგება, მეოთხე – ძალოვნების მხრიდან შევიწროება.



რუსეთში გენიალურ კომუნიკატორად აღიარებული სურკოვი კურირებდა უკრაინის მიმართულებასა და მინსკის მოლაპარაკებებს დონბასის თაობაზე.

მას და პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე დიმიტრი კოზაკს უკრაინაზე განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ.

ითვლება, რომ უკრაინის პრობლემის მოწესრიგების მიმართულებით სურკოვს სწორედ კოზაკი ჩაანაცვლებს.

გავრცელებული ინფორმაციით, კოზაკს მოფიქრებული აქვს გეგმა, რომელიც ეხება გაზის ტრანსპორტირებას და რომელიც მისაღებია რუსეთისთვისაც, უკრაინისთვისაც და ევროკავშირისთვისაც.

– ვლადისლავ სურკოვის წასვლის შემთხვევაში ურთიერთობები რუსეთსა და უკრაინას შორის არ შეიცვლება, – ამბობს უკრაინელი პოლიტიკოსი მიხეილ პოგრებინსკი.

მისი თქმით, პოლიტიკას განსაზღვრავს ვლადიმერ პუტინი. მას ამ პოლიტიკის ფართო დიაპაზონი არ გააჩნია. მისი შეცვლა შეუძლებელია.

– თანაშემწის წასვლა ვერ მოახდენს გავლენას ნორმანდიულ ფორმატზე, მიუხედავად იმისა, რომ სურკოვი ასრულებდა მნიშვნელოვან როლს მოლაპარაკებათა პროცესში, – ამბობს უკრაინელი ექსპერტი.

– სურკოვი ლიბერალი და კოსმოპოლიტია. არ მესმის, როგორ იცავდა ის რუსეთის ინტერესებს დონეცკსა და ლუგანსკში, – აღნიშნავს რუსეთის ერთ-ერთი მოქალაქე.

კრემლის მომხრე რუსეთის მედია აცხადებს, რომ კრემლს უკრაინის მიმართ გააზრებული და სწორი პოლიტიკა აქვს, ისეთი ნიჭიერი მოხელე კი, როგორიც სურკოვია, თავის საქმეს იპოვის.

ვის გადააბარებს კრემლი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კურირებას? შესაძლოა, ეს საკითხიც დიმიტრი კოზაკს დაავალონ.

კოზაკი წინა წლებში ასევე ასრულებდა პრეზიდენტის რწმუნებულის როლს სამხრეთ ოლქში, იყო ჩრდილოეთ კავკასიის თავმჯდომარე.

უკრაინაში დაბადებულ კოზაკს კონფლიქტების მოგვარების გამოცდილებაც დაუგროვდა. 2003 წელს მან შეიმუშავა მემორანდუმი, რომლითაც მოლდოვა და მისი კონფლიქტური რეგიონი, დნესტრისპირეთი, შედიან ერთიან ფედერალურ სახელმწიფოში.

მემორანდუმის ხელმოწერაზე უარი თქვა მოლდოვის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვორონინმა.

კრემლი სურკოვის გადაყენების შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს სხვა კურატორს მოუძებნის. ზოგადად კრემლის პოლიტიკის შეცვლა კი საქართველოს მიმართ ნაკლებად მოსალოდნელია.



# გომელაური ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს – ტოივო კლაარს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ გამოწვევებსა და ამ კუთხით დასავლელი პარტნიორების აქტიური მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული მიმართულებით არსებულ ვითარებაზე. ვახტანგ გომელაურმა, ასევე, ხაზი გაუსვა საოკუპაციო ძალების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვის პრობლემასა და ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეთა უკანონო დაკავების ფაქტებს.

# პროკურორი ჭიტაძე: „ზაზა მურჯიკნელი დოდო გუგეშაშვილმა ამოიცნო“

## ზაზა მურჯიკნელი დანაშაულს არ აღიარებს

თადარიგის ყოფილი პოლკოვნიკის, დოდო გუგეშაშვილის დაჭრისა და მისი შვილის, ნოდარ გუგეშაშვილის მკვლელობის საქმეში ბრალდებულს ბრალი წარედგინა.

როგორც ჟურნალისტებს გამომძიებელმა ანზორ ჟამერაშვილმა განუცხადა, მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით წარედგინა.

– მას ბრალდება სსკ-ს 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა (განზრახ მკვლელობა დანაშაულის დაფარვისთვის) და 19-109 მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა), ასევე 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა) წარედგინა. ის ბრალს არ აღიარებს და აცხადებს, რომ მასალების გაცნობის შემდეგ დააფიქსირებს პოზიციას, – განაცხადა გამომძიებელმა.

ზაზა მურჯიკნელის ადვოკატი გიგა ბოგვერაძე აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი დოდო გუგეშაშვილსა და მის ოჯახს არ იცნობს.

– არც ერთ ბრალდებას ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არ აღიარებს, ყოველგვარ შემხებლობას საქმესთან უარყოფს, ჩვენ დღემდე, ამ დრომდე, არ გადმოგვცემია საქმის მასალები და მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ ნათელი გახდება, თუ რა მტკიცებულებები აქვს ბრალდების მხარეს, თუმცა ეჭვი მეპარება, რომ რამე პირდაპირი მტკიცებულების მსგავსი ჰქონდეს. ამოცნობა არ ჩატარებულა, თუმცა ის დოდო გუგეშაშვილს და მის ოჯახს არ იცნობს და მათ არ შეხვედრია, – განაცხადა ადვოკატმა გიგა ბოგვერაძემ.

გუშინ, 26 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ზაზა მურჯიკნელს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ლელა კალიჩენკომ გამოაცხადა.

დაცვის მხარე ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა. სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა დუმილი დაარღვია და განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ სცნობს.

– არსებულ დანაშაულთან არანაირი შემხებლობა არ მაქვს. გამოძიება არის შეცდომაში შესული და ვიმედოვნებ, რომ ჭეშმარიტ დამნაშავეს დააკავებენ და მე გამიშვებენ, – განაცხადა ზაზა მურჯიკნელმა.



სასამართლო პროცესს არ ესწრებოდა დაზარალებული დოდო გუგეშაშვილი.

გუშინვე კომენტარი გააკეთა პროკურორმა ნუგზარ ჭიტაძემ.

– ფოტოსურათები, ამოცნობის ოქმები და ფარული საგამოძიებო მოქმედებებია ის მტკიცებულებები, რომლებითაც უტყუარად დასტურდება ბრალდებულის მიერ ქმედების ჩადენა, – განაცხადა მან.

პროკურორის თქმით, ბრალდებული, დოდო გუგეშაშვილის გარდა, კიდევ ორმა პირმა ამოიცნო.

– მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულებები, როგორიცაა თავად ქალბატონ დოდო გუგეშაშვილის ამოცნობის ოქმი ფოტოსურათით, ასევე, ორი თვითმხილველი მოწმის ამოცნობის ოქმი, რომლებიც უთითებენ, რომ წარმოდგენილმა ბრალდებულმა ჩაიდინა ბრალად შერაცხული ქმედება.

რაც შეეხება სხვადასხვა ვერსიას, ასევე ზუსტ მოტივს, ამაზე მუშაობს გამოძიება და ჩემ მიერ საჯაროდ ამის გაცხადება დააზიანებს გამოძიების ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში, მას ბრალად ედება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობა ორი პირის მიმართ. ასევე, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობა დანაშაულის დაფარვის ან მისი გაადვილების მიზნით, – აღნიშნა პროკურორმა.

დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ ბრალდებულის ამოცნობის ოქმები, რაც ბრალდების მხარემ სასამართლოში მტკიცებულებად წარმოადგინა, კანონის სრული დაცვით არ იყო მოპოვებული.

– ჩვენ ჩავიბარებთ განჩინებას, გავაკეთებთ ანალიზს და გადავწყვეტთ მისი გასაჩივრების საკითხს, – განაცხადა ადვოკატმა გოგა ბოგვერაძემ.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 16 მარტს 12:00 საათზე ჩაინიშნა.

# ნესტან ლონდარიძე: „მურად წურწუმიას მკვლელობისთვის დაკავებულ ზურაბ ფოფხაძესა და ვახტანგ ბურძენაძეს ბრალი დაუმძიმდათ“

ვარკეთილში, ე.წ. დამპალოს სასაფლაოზე მომხდარი შემთხვევის შედეგად გარდაცვლილ მურად წურწუმიას საქმეზე ბრალდებულებს, ყოფილ სპეცრაზმელს, ზურაბ ფოფხაძესა და მოქალაქეს ვახტანგ ბურძენაძეს ბრალი დაუმძიმდათ.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ წურწუმიას ოჯახის ადვოკატმა ნესტან ლონდარიძემ განუცხადა.

როგორც ლონდარიძე განმარტავს, დაკავებულების ბრალს კიდევ ერთი მუხლი დაემატა – თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით ჯგუფურად.




ადვოკატის თქმით, საქმის წარმოება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კუთხით მიმდინარეობს. ლონდარიძის თქმით, მას შემდეგ, რაც ექსპერტიზის შედეგები ცნობილი გახდება, გამორიცხული არ არის, ბრალდებულებს ბრალი კიდევ ერთხელ დაუმძიმდეთ.

– ერთი გარემოება იყო შეფასების გარეშე დარჩენილი, რასთან დაკავშირებითაც, ადვოკატებს პრეტენზია გვქონდა. მურად წურწუმია შემთხვევის ადგილიდან საცხოვრებელ სახლში გადაიყვანეს, სადაც სამედიცინო დახმარება არ გაუწევიათ, ის მთელი ღამის განმავლობაში ჰყავდათ სახლში, სადაც ორი ბრალდებული იმყოფებოდა. ცნობილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ დილით ზურაბ ფოფხაძემ ბინა დატოვა და სამსახურში წავიდა. მეორე ბრალდებულმა როცა შეატყო, მდგომარეობა ისე დამძიმდა, რომ სიკვდილი გარდაუვალი შედეგი იყო, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას დაურეკა. სწორედ ეს გარემოება იყო შეფასების გარეშე დარჩენილი.

დადგენილი იყო სისხლის სამართლის 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს, თუმცა, ამ ფაქტობრივ გარემოებებს არ შეესაბამებოდა მხოლოდ თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ვინაიდან ამ ყველაფერს თავისი გარემოებები ჰქონდა. მსჯელობის შედეგად მოხდა მუხლის კიდევ დამძიმება – თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით ჯგუფურად. ექსპერტიზის დასკვნა ჯერ ცნობილი არ არის და არც ისაა გამორიცხული, რომ კვალიფიკაციის საკითხში კიდევ მივიღოთ გარკვეული ცვლილება, – განაცხადა ლონდარიძემ.

2020 წლის 2 იანვარს, ღამის საათებში, მურად წურწუმია ძმასთან, მუხრან ჩხვირკიასთან ერთად ე.წ. დამპალოს სასაფლაოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც ასევე იმყოფებოდნენ ბრალდებულები, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი ზურაბ ფოფხაძე და მისი თანმხლები პირი ვახტანგ ბურძენაძე.

გამოძიების ინფორმაციით, მათ შორის ურთიერთშელაპარაკება დაიწყო ბრალდებულ ზურაბ ფოფხაძის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ნიადაგზე.

ბრალდებული ზურაბ ფოფხაძე ვახტანგ ბურძენაძესთან ერთად შეეცადა წურწუმიას და ჩხვირკიას შეჩერებას. კონფლიქტში მონაწილეთა შორის ფიზიკური დაპირისპირება გაგრძელდა რამდენიმე წუთის განმავლობაში, ზურაბ ფოფხაძემ ვახტანგ ბურძენაძესთან ერთად ჯგუფურად, მურად წურწუმიას მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო სხეულის დაზიანებები, რამაც ამ უკანასკნელის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ხოლო მუხრან ჩხვირკიამ ბრალდებულების მხრიდან ჯგუფურად განხორციელებული ცემის შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი.

ზურაბ ფოფხაძე 5 იანვარს დააკავეს. ამავე საქმეზე 8 იანვარს ბრალდებულის სახით დააკავეს ვახტანგ ბურძენაძე.

# ახმეტაში 33 წლის მწყემსმა 48 წლის მამაკაცი მოკლა

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალიდან რამდენიმე კილომეტრში, სადაც მწყემსები არიან დაბინავებული, მკვლელობა მოხდა.

საქონლის ფერმაში 33 წლის მწყემსმა 48 წლის მამაკაცს სანადირო თოფიდან სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

მწყემსებს შორის ურთიერთშელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც მკვლელობა მოჰყვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1986 წელს დაბადებული კ.გ. დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ კ.გ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სოფელ კასრისწყალში სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1972 წელს დაბადებულ დ. ს.-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ჩხოროწყუში მამაკაცს მანქანაში ხელყუმბარა აუფეთქდა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში 40 წლამდე მამაკაცს მანქანაში ხელყუმბარა აუფეთქდა.

– გაუვარდა თუ თვითონ ააფეთქა, ეს გამოძიების დასადგენია, ასევე გასარკვევია, თუ რა სახის ნივთიერება იყო, რაც აფეთქდა. ის ქუთაისის საავადმყოფოშია გადაყვანილი და ოპერაცია ჩაუტარდა, – უთხრა „ლაივპრესს“ დათო გოგუამ.

მისივე თქმით, დაზარალებულს დაზიანებები აქვს ფეხის არეში.

# ქვიშხეთთან მანქანა მტკვარში გადავარდა

## დაიღუპა 4 ადამიანი, მათ შორის 3 ბავშვი

გუშინ, 26 იანვარს, ხაშურიდან ბორჯომისკენ მიმავალ გზაზე, ქვიშხეთთან, საზარელი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც 4 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის 3 ბავშვია.

მანქანა მტკვარში გადავარდა.

ავტომობილში 5 ადამიანი იმყოფებოდა.

მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა, ბავშვები კი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ დაიღუპნენ.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული ქალი ხაშურის საავადმყოფოდან რეფერალურმა ჯგუფმა თბილისში გადაიყვანა. ახალგაზრდა ქალს, რომელსაც წყლიდან ამოყვანისას გულის გაჩერება დაუფიქსირდა, ხაშურის საავადმყოფოში გადაყვანისას ჩატარებული რეანიმაციული ღონისძიებების შედეგად გული აუმუშავდა, თუმცა მისი მდგომარეობა კვლავ უკიდურესად მძიმეა.



მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან ორზე მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

არსებული ინფორმაციით, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მდინარეში იმიტომ გადავარდა.

გარდაცვლილები მამა და შვილები არიან.

# ქვემო ფონიჭალაში ავარიაში 6 თვის ბავშვი დაიღუპა

რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალზე ავარიას 6 თვის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, მაგისტრალზე, კერძოდ კი ქვემო ფონიჭალაში, იქ, სადაც ავტობანი მთავრდება და გადასასვლელია ძველ გზაზე. ერთმანეთს „კიასა“ და „ტოიოტას“ მარკის ავტომობილები შეეჯახნენ. როგორც საინფორმაციო სააგენტომ გაარკვია, მცირეწლოვანი ბავშვი მშობლებთან ერთად სწორედ „ტოიოტას“ მარკის ავტომობილში იმყოფებოდა.

დაშავებული ბავშვი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფმა კლინიკა ნიუ-ჰოსპიტალსში გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, გარდაცვლილი ბავშვის ოჯახი რუსთავში ცხოვრობს.

# კლუბ „შავი ვარდის“ მენეჯერი დააკავეს

## მან უცხოელ ტურისტებს 31.000 ლარი გადაახდევინა

უცხოელი ტურისტებისთვის დიდი ოდენობით თანხის იძულებით გადახდის ბრალდებით ღამის კლუბ „შავი ვარდის“ მენეჯერი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და თვითნებურად ჩადენილი ძალადობით, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ბრალდებით, 1995 წელს დაბადებული გ.მ. დააკავეს.

უწყების ცნობით, მის მიერ ჩადენილი დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც თბილისში მდებარე ღამის კლუბ „შავი ვარდის“ მენეჯერია, ამავე კლუბში მყოფ უცხოეთის მოქალაქეებს მომსახურებისთვის იძულების მუქარით, დიდი თანხა – 31.000 ლარი გადაახდევინა, რასაც სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. შედეგად, ინდოეთის მოქალაქემ, ს.ს.-მ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო. მას სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს.



ს.ს.-ს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა კლუბში მყოფი უცხოეთის მოქალაქეების სახელზე რეგისტრირებული საბანკო ბარათებიდან თანხის ნაწილი კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის გზით მიითვისა.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და თვითნებურად, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი, 360-ე მუხლის მე-2 და 284-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# ტრამპი მოლაპარაკების სანაცვლოდ ირანისთვის სანქციების გაუქმებას არ აპირებს



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოლაპარაკების სანაცვლოდ ირანისთვის სანქციების გაუქმებას არ აპირებს.

ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა სოციალურ ქსელ „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე დაწერა.

„ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, რომ ირანს აშშ-სთან მოლაპარაკებები სურს, თუმცა ამის სანაცვლოდ სანქციები უნდა გაუქმდეს. არა, გმადლობთ!" – წერს ტრამპი.

შეგახსენებთ, რომ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ ჯავად ზარიფმა შპიგელთან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ირანი მზადაა, აშშ-სთან მოლაპარაკებები დაიწყოს იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები სანქციებს გააუქმებს.

ირანსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც 3 იანვარს ამერიკელმა სამხედროებმა ბაღდადში გენერალი ქასემ სოლეიმანი მოკლეს.

# პუტინმა სურკოვი მოხსნა



რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვმა თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ პოლიტოლოგმა ალექსეი ჩესნაკოვმა, სურკოვის ახლო მეგობარმა დაწერა.

მისი თქმით, სურკოვმა გადაწყვეტილება უკრაინის მიმართულებით კურსის შეცვლის გამო მიიღო.

– რამდენიმე თვით ის მედიტაციით დაკავდება, ხოლო შემდეგ წასვლის მიზეზებსა და მომავლის გეგმებზე ისაუბრებს, – წერს პოლიტოლოგი.

ვლადისლავ სურკოვი რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწედ 2013 წლიდან მუშაობდა.

ის კურირებდა ოკუპირებულ აფხაზეთთან და ცხინვალთან სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს, ასევე კონფლიქტის საკითხებს უკრაინასთან.

სურკოვს კრემლის „რუხ კარდინალადაც" მოიხსენიებენ.

# ჩინეთში კორონავირუსით 56 ადამიანი გარდაიცვალა



## 2.000 დაავადებულია

ჩინეთში ახალი კორონავირუსით უკვე 56 ადამიანი გარდაიცვალა. დაავადებულია 2 ათასამდე ადამიანი, მათგან 300-ზე მეტი მძიმე მდგომარეობაშია.

ჩინეთის ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ კორონავირუსით, სავარაუდოდ, 2 ათას 700-მდე ადამიანია კიდევ დაავადებული, თუმცა მათი დიაგნოზი საბოლოოდ ჯერ დადასტურებული არ არის.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქალაქ უხანიდან, სადაც ეპიდემია სწრაფად ვრცელდება, საკუთარი დიპლომატებისა და მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო. ქალაქიდან მოქალაქეების გაყვანას გეგმავენ საფრანგეთი, იორდანია, რუსეთი, ბრიტანეთი და სამხრეთ კორეა.

იზრდება კორონავირუსის გავრცელების არეალი.

პირველი ინფიცირებული გამოავლინეს კანადაში. მოსკოვის ერთ-ერთი სასტუმროდან ვირუსის სიმპტომებით ჩინეთის შვიდი მოქალაქეა ჰოსპიტალიზებული.

ეპიდემიის გამო იზოლაციაში რჩება ქალაქი უხანი, სადაც, სასწრაფო დახმარების მანქანების გარდა, ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

# ძლიერი მიწისძვრა თურქეთში



24 იანვარს, 21:55 წუთზე, თურქეთში, ქალაქ მალატიაში, მიწისძვრა მოხდა. მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 6.9 მაგნიტუდა შეადგინა.

ბოლო ინფორმაციით, მიწისძვრის შედეგად 35 ადამიანი დაიღუპა, 1.600 ადამიანი დაშავებულია.

მიწისქვეშა ბიძგებმა მსხვერპლი რეგიონში, ელიაზიღსა და მალათაიში გამოიწვია.

25 იანვარს თურქეთში მიწისძვრა განმეორდა.

5.1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის ეპიცენტრი კვლავ სივრიჯეს პროვინციაში დაფიქსირდა.

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა სტამბოლში სიტყვით გამოსვლა გააუქმა და მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილი დედა-შვილის დაკრძალვას დაესწრო, შემდეგ ეწვია მალატიას, რომელიც მიწისძვრის ეპიცენტრი იყო.

მაშველები ნანგრევებში მოყოლილი მოსახლეობის გადარჩენას ამ დრომდე აგრძელებენ.

# 4 აფეთქება ინდოეთში



ინდოეთის დამოუკიდებლობის დღეს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ასამის შტატში, 4 აფეთქება მოხდა.

3 აფეთქება – ქალაქ დიბრუგარში, 1 კი ჩაირაიდეოში მოხდა.

წინასწარი ინფორმაციით, აფეთქების უკან რადიკალური სეპარატისტული დაჯგუფება „ასამის გათავისუფლების ეროვნული ფრონტი" დგას.

ისინი ასამის შტატის ინდოეთისგან გამოყოფასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას მოითხოვენ. სწორედ ამიტომ მათ პროტესტის ნიშნად აფეთქებების მოწყობა ინდოეთის დამოუკიდებლობის დღეს გადაწყვიტეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სიზმარმა ქალი გაამდიდრა




ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ პიტერსბერგის მცხოვრებმა ლატარიის ბილეთში სიზმარში ნანახი ციფრები ჩაწერა და ჯეკპოტი მოხსნა.

რამდენიმე წლის წინ როუზ ჯეტერმა სიზმარში ნახა ციფრები 7-12-14-21-27. მან ისინი დაიმახსოვრა და ლატარიაში თამაშის დროს იყენებდა. სწორედ ეს კომბინაცია ჩაწერა მან ლატარიის ბილეთში, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის გათამაშებისთვის იყიდა.

შედეგად ჯეტერმა ჯეკპოტი 100 ათასი დოლარი მოიგო. ლატარიის გათამაშების ორგანიზატორების თქმით, მოგების შანსი 278.256-დან ერთი იყო.

# ტუალეტში შესულ ქალს გველთან ორთაბრძოლის გადატანა მოუხდა



ტაილანდელ ქალბატონს ტუალეტში გველთან შებრძოლება მოუხდა და გამარჯვებული გამოვიდა. ამის შესახებ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერა მისმა ქალიშვილმა ჩუნია სიტივიჩაიმ.

საკუთარ ტუალეტში შესულ ქალს უნიტაზზე დაჯდომის შემდეგ გველი თეძოში კბილებით ჩააფრინდა. ქალმა მისგან გათავისუფლება ცადა, მაგრამ ქვეწარმავალი ფეხზე მჭიდროდ შემოეხვია. ყვირილზე მოირბინა მისმა ქალიშვილმა ჩუნიამ, რომელმაც თან საკანცელარიო დანა და ჩაქუჩი გამოიყოლა.

– დედამ გველისთვის თავის მოჭრა ცადა, მაგრამ მისი ქერცლი საკმაოდ მტკიცე გამოდგა. შედეგად მან შემთხვევით თავადვე მიიყენა სამი სანტიმეტრი სიღრმის დაზიანება, – განმარტა ჩუნიამ.

გოგონას თქმით, გველმა ისეთ ძლიერ მარწუხებში მოაქცია დედამისი, რომ მან კინაღამ გონება დაკარგა. მალე ტუალეტში მისმა უმცროსმა ძმამ შემოირბინა. მან ჩაქუჩს დასტაცა ხელი და ქვეწარმავალს რამდენიმეჯერ ჩასცხო.

– ძმამ დედა გარეთ გამოიყვანა, მე კი ის ტუალეტში ჩავკეტე, – დაამატა გოგონამ. თავის მონაყოლს ჩუნიამ თან დაურთო ფოტოსურათი, რომელზეც ასახულია მკვდარი გველი, რომლის მახლობლადაც იატაკზე ჩაქუჩი და დანა აგდია.

ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მას გველის მიერ დაკბენილი ადგილები დაუმუშავეს და ნაკერები დაადეს. მის ამჟამინდელ მდგომარეობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

# მეთევზეებმა რეკორდულად დიდი თეთრი ამური და ცისფერი ლოქო დაიჭირეს



აშშ-ში მეთევზეებმა რეკორდულად დიდი თევზები დაიჭირეს. ამ ინფორმაციას ფეისბუქში საკუთარ ოფიციალურ გვერდზე დასავლეთ ვირჯინიის შტატის ბუნებრივი რესურსების განყოფილება ავრცელებს.

განყოფილების მონაცემებით, ზაქარი ადკინსმა შტატის რეკორდი 3 იანვარს დაამყარა, როდესაც ტბა უორდენში 1,4 მეტრი სიგრძის თეთრი ამური დაიჭირა. წინა რეკორდი ამ სახეობის თევზზე, რომელიც 2005 წელს იქნა დაჭერილი, 1,3 მეტრს აღწევდა.

11 იანვარს კი რეკორდი დაამყარა მეთევზე ჯასტინ კონერმა, რომელმაც მდინარე ოჰაიოში 1,3 მეტრი სიგრძის ცისფერი ლოქო დაიჭირა. წინა რეკორდი ამჟამინდელს ხუთი სანტიმეტრით ჩამორჩა და ის 2014 წელს იქნა დაჭერილი.

ახალი რეკორდსმენების გამოქვეყნებული ფოტოსურათები ვირუსული გახდა და 1,2 ათასამდე მოწონება და ასეულობით აღფრთოვანებული კომენტარი მიიღო.

# ზოოპარკში ხუთი ლომი შიმშილით სიკვდილისთვის გაწირეს



სუდანის დედაქალაქ ხართუმის მკვიდრმა აქტივისტმა კერძო ზოოპარკში შიმშილისგან დასუსტებული აფრიკული ლომები აღმოაჩინა.

ოსმან სალიხმა ხუთი მომაკვდავი ლომი ხართუმის ალ-კურეშის პრესტიჟულ რაიონში მდებარე ზოოპარკში აღმოაჩინა. მძიმე ეკონომიკურ კრიზისში მყოფ ქვეყანაში ცხოველები მთელი კვირების განმავლობაში ვერ იღებდნენ საკმარის საკვებს, მოკლებული იყვნენ სამედიცინო მომსახურებას და, ფაქტობრივად, შიმშილით სიკვდილისთვის იყვნენ განწირულნი.

საკვების ნაკლებობის გამო ცხოველებს საკუთარი ნორმალური წონის ორი მესამედი აქვთ დაკარგული, ტყავის ქვეშ ძვლები ემჩნევათ. ზოგიერთი მონაცემით, ერთი ლომი უკვე დაიღუპა.

ამ ყოველივეს შემდეგ სალიხმა ფეისბუქში წამოიწყო კამპანია ცხოველებისთვის ახალი საბინადროს მოსაძებნად, სანამ ისინი შიმშილისგან დაიღუპებიან. ერთ-ერთ ლომს გადასარჩენად უკვე წვეთოვანიც კი დაუდგეს.

# ბრიტანელი მასწავლებელი გარყვნილი ქმედებისთვის ციხეში აღმოჩნდა



ბრიტანეთის დერბიშირის საგრაფოში განაჩენი გამოუტანეს ყოფილ მასწავლებელს, რომელიც ყოველგვარი ნებართვის გარეშე ქალებს კაბებქვეშ უყურებდა.

სამი წლის განმავლობაში 38 წლის იენ ბენსლიმ ფარული კამერით 131 ვიდეო გადაიღო, რომლებშიც მოზრდილი ქალები ფიგურირებდნენ და კიდევ ხუთი ვიდეო, რომელზეც 16 წელს მიუღწეველი გოგონები იყვნენ ასახული. ყველაზე ხშირად გარყვნილი მასწავლებელი უკანონო გადაღებებს ქალაქ დერბის სუპერმარკეტში ახორციელებდა. იმისთვის, რომ შეუმჩნევლად შეეჭვრიტა ქალის კაბის ქვეშ, მამაკაცი ტელეფონს საყიდლებისთვის განკუთვნილ კალათში ისე დებდა, რომ მისი ობიექტივი ზევით ყოფილიყო მიმართული.

2018 წლის ივლისში პოლიციამ მისი ტელეფონი და ნოუთბუქი ამოიღო. გარდა სუპერმარკეტში თვითნებურად გადაღებული ვიდეოებისა, ბენსლის 100-ზე მეტი გამოსახულება უპოვეს, რომელიც ბავშვთა პორნოგრაფიას შეიცავდა. სასამართლოზე მან დანაშაული ბავშვების მონაწილეობით ექვს ეპიზოდზე და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე უმსგავსობის სამ ფაქტზე აღიარა. მას 12 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი.

● ტიბეტური მედიცინა გთავაზობთ დაავადების გამომწვევ მიზეზთა დიაგნოსტიკას სპეციალური აპარატურით. მკურნალობას ჩაგიტარებენ მოწვეული ექიმები. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

# გიორგი ლორია: „მთელი საქართველო მარტს ელოდება“



საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ჯანო ანანიძე კვიპროსულ ანორთოსისში რომ გადავიდა, იქ 6 ქართველი დახვდა. მათ შორის არის ეროვნული გუნდის მეკარე **გიორგი ლორია**.

***– რა რეაქცია გქონდა ჯანოს ანორთოსისში ტრანსფერზე?***

– ძალიან გამიხარდა. დარწმუნებული ვარ, 11-წლიანი კარიერის შემდეგ მისთვის სპარტაკიდან წამოსვლა რთული იყო. ანორთოსისის ყველა წევრისთვის სასიხარულოა ასეთი კვალიფიციური ფეხბურთელის დამატება.

***– ჯანოს დიდი ხანია იცნობ?***

– საკმაოდ, 2010 თუ 2011 წლიდან. ზუსტად არც კი მახსოვს, როდის შევხვდი. რასაკვირველია, მაშინ შევხვდით ერთმანეთს, როცა ნაკრებში გამოგვიძახეს.

***– ანორთოსისს მყარი ქართული დიასპორა ჰყავს.***

– დიახ, თორნიკე ოქრიაშვილთან და ბუბა დაუშვილთან ერთად მივედი ანორთოსისში. აქ გულთბილად დაგვხვდნენ ნიკა კაჭარავა, მწვრთნელები – თემურ ქეცბაია და სოსო ჭედია.

***– კვიპროსში გადასვლისას ქართველებისთვის კლიმატი და ცხოვრების წესი მნიშვნელოვანი იყო?***

– ტრანსფერის დროს მთავარი ფაქტორი გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო. ისე მოხდა, რომ ზაფხულში მე, თორნიკე და ბუბაც კლუბების გარეშე ვიყავით. ქეცბაიამ კი გვიხმო იმ გუნდში, სადაც ადრეც 5 წლის განმავლობაში მუშაობდა. თემური გვესაუბრა და გვითხრა, რომ აპირებდა ისეთი გუნდის შექმნას, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა. ჩვენთვის ეს გეგმა საინტერესო იყო. ამინდმაც იმოქმედა, ადრე სადაც მითამაშია, ყოველთვის ცივ ამინდებში ვიყავი.

***– გითხრათ და ასრულებს კიდეც – ანორთოსისი ლიდერობს ჩემპიონატს და შანსი გაქვთ, აპოელის ჰეგემონია დაამხოთ.***

– ჩვენმა ლიდერობამ ბევრი გააკვირვა. გუნდი სეზონის წინ 90%-ით შეიცვალა და პატარა სიურპრიზი გავხდით, რადგან ახალი გუნდიდან შედეგს არავინ ელოდა. ჩემპიონობაზე ფიქრი კი ჯერ ადრეა – წინ ნახევარი სეზონია.

***– დავუბრუნდეთ ჯანოს – ჰქონდა სპარტაკში თამაშის შანსი? სწორ დროს დატოვა გუნდი?***

– ჯანოს ტრავმები ხშირად რომ არ მიეღო, სპარტაკში მეტად ითამაშებდა და უფრო დიდ სარგებელს მოუტანდა გუნდს. მუდმივი ტრავმების შემდგომმა რეაბილიტაციებმა საკუთარი თავის გამოვლენის საშუალება არ მისცა.

***– ანორთოსისი ანანიძისთვის კარგი ადგილია?***

– რამდენადაც ვიცი, მას ჰქონდა შეთავაზებები რუსეთიდან, თურქეთიდან და საბერძნეთიდან, მაგრამ ვფიქრობ, მისთვისაც გადამწყვეტი როლი ანორთოსისში მყოფმა ქართველებმა ითამაშეს. მიმაჩნია, რომ ჯანოსთვის ეს გუნდი კარგი არჩევანია.

***– შეძლებს ჯანო ანორთოსისის სათამაშო სქემაში სწრაფად თავის დამკვიდრებას?***

– რა თქმა უნდა. არ აქვს მნიშვნელობა, შეტევაში რამდენად ქმედებაუნარიანი შემტევები გყავს. ჯანოს დონის ფეხბურთელი ნამდვილად მალე გაივლის ადაპტაციას გუნდში.

***– სპარტაკში ანანიძე საკმაოდ მორცხვი იყო, ინტერვიუებს თითქმის არ იძლეოდა. ეს ხელს შეუშლის კვიპროსში?***

– არანაირად. გუნდში ამდენი ქართველი ვართ და ეს საკითხი არც განიხილება.

***– როგორ დაახასიათებდი ანორთოსისის სათამაშო სტილს?***

– ასე ვიტყვი – კვიპროსის ჩემპიონატში გავიტანეთ ყველაზე მეტი და გავუშვით ყველაზე ნაკლები. ყრუ დაცვაში არ ვსხედვართ და ვცდილობთ, უფრო შეტევაში ვიყოთ.

***– 3 სეზონი გაატარე რუსეთის პრემიერლიგაში. ამ პერიოდს დაკარგულად თვლი? კრილიაც და ანჟიც ელიტაში დასარჩენად იბრძოდნენ.***

– სიმართლე რომ გითხრათ, ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელია. განსაკუთრებით მეკარისთვის, რომელზეც დამატებითი პასუხისმგებლობა გადადის. გამოდიხარ მოედანზე და არ იცი მოიგებ თუ არა. მეტიც, არის მატჩები, რომელიც არ უნდა წააგო. კრილიაში კარგი გუნდი იყო და მშვენიერი ატმოსფერო, რუსეთის პრემიერლიგაში კი დიდი გამოცდილება შევიძინე. ერთადერთი ლეგიონერი მეკარე ვიყავი ასეთ ჩემპიონატში. კრილიაში ახლაც ბევრი მეგობარი მყავს.

***– და მაინც კრილიადან ანჟიში აღმოჩნდი.***

– საერთოდ არ ვაპირებდი სამარიდან წასვლას, მაგრამ იძულებითი სიტუაცია შეიქმნა. ეს ცალკე ისტორიაა, მართლა გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი. სათამაშოდ მზად ვიყავი, მაგრამ ჩემი სკამზე გადასმა მოინდომეს. მოდით ამ საკითხზე აღარ ვისაუბროთ.

***– მაგდებურგის ვარიანტმა დროულად მოგისწრო?***

– არც ისე... დიდი ხანი უგუნდოდ ვიყავი, რადგან ჩემი კრილიადან წასვლის დროს ყველა ჩემპიონატში 3-4 ტური ნათამაშები ჰქონდათ. თითქმის მთელი სეზონი თბილისის დინამოსთან ერთად ვვარჯიშობდი და ველოდები ახალ ვარიანტს. მინდოდა, რომელიმე ნორმალურ ლიგაში გამეგრძელებინა კარიერა.

***– მეორე ბუნდესლიგასა და კვიპროსის ჩემპიონატებს როგორ შეადარებდი?***

– მეორე ბუნდესლიგა დიდად არ განსხვავდება პირველისგან. და გერმანიის ჩემპიონატი როგორია, ამაზე ბევრს არ ვილაპარაკებ. კვიპროსის ლიგა უფრო გახსნილია და საერთოდ სხვა სტილის ფეხბურთს თამაშობენ.

***– როგორი პირობებით გადახვედი მაგდებურგიდან ანორთოსისში?***

– 2-წლიანი კონტრაქტი მაქვს სხვადასხვა ოფციით. 2021 წლის ზაფხულში გადავხედავთ პირობებს.

***– არის კითხვები საქართველოს ნაკრების შესახებ, რომელზეც ალბათ ქართველ თანაგუნდელებთან ერთად ხშირად საუბრობ. რა განწყობით ელოდებით ერთა ლიგის მატჩებს?***

– ყველაფერი მარტივი და ნათელია: თუ ჩვენს დივიზიონში ნახევარფინალსა და ფინალში გავიმარჯვებთ, ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებთ. პირველ მატჩი ბელორუსთანაა და გამარჯვების შემთხვევაში მაკედონია-კოსოვოს გამარჯვებულთან მოგვიწევს შეხვედრა. გაგვიმართლა, რომ კენჭისყრისას თამაშები საშინაო კედლებში ამოგვივიდა. მთელი ქვეყანა ელოდება ამ შეხვედრებს! საქართველოს არასდროს ჰქონია დიდ ტურნირზე მოხვედრის ასეთი შანსი. ყველანი მარტის თამაშებს ველოდებით. მუდმივად ვფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს დაპირისპირება ჩვენი ქვეყნისთვის.

# პაულო დიბალა: „იღბლიანი ფეხბურთელი ვარ“

ტურინის იუვენტუსის ფეხბურთელი პაულო დიბალა გასულ ზაფხულს გუნდის დატოვებასთან ახლოს იყო, თუმცა არგენტინელი იტალიაში დარჩა და ამით კმაყოფილია.

**პაულო დიბალა:**

– საფეხბურთო სამყაროში ყველაფერი ერთ წამში იცვლება. არავისთვის არის დასამალი, რომ სიტუაცია დაძაბული იყო და კლუბი ჩემს გასხვისებას სერიოზულად განიხილავდა. ეს სიტუაცია ფაქტობრივად სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი საათით ადრეც კი ღიად იყო დარჩენილი. მაურისიო სარის გუნდში მოსვლამ, მდგომარეობა მცირედით გამოასწორა, რადგან მას ჩემი გუნდში დარჩენა უნდოდა. თუმცა, გადაწყვეტილება სხვა დონეზე წყდებოდა, რაც მშვიდად ყოფნის საშუალებას არავის გვაძლევდა. ჩემი მხრივ, ვიცოდი, რომ სარისთან პროგრესირებას შევძლებდი. იგი მომცემდა საშუალებას ნაბიჯი წინ გადამედგა და უფრო მეტი რამ მესწავლა. საბედნიეროდ, დღეს აქ ვარ, კლუბში, რომელიც ყოველთვის ისე მაგრძნობინებდა თავს, როგორც საკუთარ სახლში!

კონტრაქტით იუვეს რიგებში ყოფნა კიდევ 2 სეზონით შემიძლია და ვნახოთ, რა სურვილი ექნებათ. ნებისმიერ შემთხვევაში, დარჩენასა თუ წასვლაზე გადაწყვეტილებას კლუბის ხელმძღვანელობა მიიღებს.

მსგავსება ვინმესთან? ყოველთვის ვამბობდი, რომ საფეხბურთო სამყაროში საკუთარი გვარის დაფიქსირება მწყურია. მინდა, როდესაც ჩემს მიერ გატანილ გოლებს ნახავენ თქვან – დიახ ეს პაულო დიბალაა! ლეო მესი და ომარ სივორი გენიალური ფიგურები არიან, მაგრამ მე ჩემი სახელის მაღალი ნოტით დემონსტრირება მსურს!

ვერ გაგცემთ პასუხს კითხვაზე, ვინ უფრო ძლიერია, კრიშტიანუ რონალდუ თუ ლეო მესი. მთავარია, რომ მაქვს ბედნიერება, გასახდელში დრო ორივე მათგანთან ერთად გავატარო. ადამიანები ყველაზე მაღალ წერტილს უყურებენ, მე კი – უშუალოდ პროცესს, თუ რა ოფლისღვრით აღწევს ერთი ან მეორე ამ უდიდეს წარმატებას. დიახ, უსაზღვროდ იღბლიანი ფეხბურთელი ვარ!

# შედეგები

## 25 იანვარი

**ფეხბურთი**

**ოლიმპიადა 2020. შესარჩევი ეტაპი**

**სამხრეთ ამერიკა**

ვენესუელა-ეკვადორი ........ 1:0
ჩილე-არგენტინა ........ 0:2

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

ბრენტფორდი-ლესტერი ........ 0:1
ბარნლი-ნორვიჩი ........ 1:2
ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი ........ 0:1
ქოვენთრი-ბირმინგემი ........ 0:0
მილუოლი-შეფილდი ........ 0:2
ნიუკასლი-ოქსფორდი ........ 0:0
პორთსმუთი-ბარნსლი ........ 4:2
რედინგი-კარდიფი ........ 1:1
საუთჰემპტონი-ტოტენჰემი ........ 1:1
ჰალი-ჩელსი ........ 1:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სტოკი-სუონსი ........ 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ლაიფციგი ........ 2:0
გლადბახი-მაინცი ........ 3:1
ვოლფსბურგი-ჰერტა ........ 1:2
უნიონი-აუგსბურგი ........ 2:0
ფრაიბურგი-პადერბორნი ........ 0:2
ბაიერნი-შალკე ........ 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 19 | 12 | 4 | 3 | 51-23 | 40 |
| 2.ბაიერნი | 19 | 12 | 3 | 4 | 55-22 | 39 |
| 3.გლადბახი | 19 | 12 | 2 | 5 | 36-21 | 38 |
| 4.დორტმუნდი | 19 | 10 | 6 | 3 | 51-28 | 36 |
| 5.შალკე | 19 | 9 | 6 | 4 | 31-26 | 33 |
| 6.ლევერკუზენი | 18 | 9 | 4 | 5 | 27-22 | 31 |
| 7.ფრაიბურგი | 19 | 8 | 5 | 6 | 29-26 | 29 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 18 | 8 | 3 | 7 | 26-30 | 27 |
| 9.აინტრახტი | 19 | 7 | 3 | 9 | 31-30 | 24 |
| 10.ვოლფსბურგი | 19 | 6 | 6 | 7 | 20-23 | 24 |
| 11.უნიონი | 19 | 7 | 2 | 10 | 23-27 | 23 |
| 12.აუგსბურგი | 19 | 6 | 5 | 8 | 31-38 | 23 |
| 13.ჰერტა | 19 | 6 | 4 | 9 | 24-34 | 22 |
| 14.კიოლნი | 19 | 6 | 2 | 11 | 23-38 | 20 |
| 15.მაინცი | 19 | 6 | 0 | 13 | 27-44 | 18 |
| 16.ვერდერი | 18 | 4 | 5 | 9 | 24-41 | 17 |
| 17.პადერბორნი | 19 | 4 | 3 | 12 | 23-40 | 15 |
| 18.ფორტუნა | 18 | 4 | 3 | 11 | 18-37 | 15 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ბილბაო ........ 1:1
ვალენსია-ბარსელონა ........ 2:0
ალავესი-ვილიარეალი ........ 1:2
სევილია-გრანადა ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 13 | 4 | 4 | 50-25 | 43 |
| 2.რეალი | 20 | 12 | 7 | 1 | 38-13 | 43 |
| 3.სევილია | 21 | 11 | 5 | 5 | 27-20 | 38 |
| 4.ატლეტიკო | 20 | 9 | 8 | 3 | 22-14 | 35 |
| 5.ვალენსია | 21 | 9 | 7 | 5 | 32-29 | 34 |
| 6.ხეტაფე | 20 | 9 | 6 | 5 | 29-20 | 33 |
| 7.ვილიარეალი | 21 | 9 | 4 | 8 | 36-29 | 31 |
| 8.ბილბაო | 21 | 7 | 10 | 4 | 22-15 | 31 |
| 9.სოსიედადი | 20 | 9 | 4 | 7 | 33-28 | 31 |
| 10.ოსასუნა | 21 | 6 | 10 | 5 | 28-25 | 28 |
| 11.გრანადა | 21 | 8 | 3 | 10 | 25-28 | 27 |
| 12.ბეტისი | 20 | 7 | 6 | 7 | 29-32 | 27 |
| 13.ლევანტე | 21 | 8 | 2 | 11 | 26-32 | 26 |
| 14.ალავესი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-31 | 23 |
| 15.ვალიადოლიდი | 20 | 4 | 10 | 6 | 17-23 | 22 |
| 16.ეიბარი | 20 | 6 | 4 | 10 | 20-29 | 22 |
| 17.მალიორკა | 20 | 5 | 3 | 12 | 22-34 | 18 |
| 18.სელტა | 20 | 3 | 7 | 10 | 17-30 | 16 |
| 19.ესპანიოლი | 21 | 3 | 6 | 12 | 17-38 | 15 |
| 20.ლეგანესი | 20 | 3 | 5 | 12 | 16-33 | 14 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიხონი-ფუელაბრანდა ........ 1:0
უესკა-ლუგო ........ 2:1
ლას პალმასი-ტენერიფე ........ 0:0
სარაგოსა-ნუმანსია ........ 1:0

**იტალია. სერია ა**

სპალი-ბოლონია ........ 1:3
ფიორენტინა-ჯენოა ........ 0:0
ტორინო-ატალანტა ........ 0:7

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 20 | 16 | 3 | 1 | 39-19 | 51 |
| 2.ინტერი | 20 | 14 | 5 | 1 | 41-17 | 47 |
| 3.ლაციო | 19 | 14 | 3 | 2 | 46-18 | 45 |
| 4.ატალანტა | 21 | 12 | 5 | 4 | 57-28 | 38 |
| 5.რომა | 20 | 11 | 5 | 4 | 37-22 | 38 |
| 6.მილანი | 21 | 9 | 4 | 8 | 23-26 | 31 |
| 7.კალიარი | 20 | 8 | 6 | 6 | 35-31 | 30 |
| 8.პარმა | 20 | 8 | 4 | 8 | 27-27 | 28 |
| 9.ბოლონია | 21 | 7 | 6 | 8 | 32-33 | 27 |
| 10.ტორინო | 21 | 8 | 3 | 10 | 26-35 | 27 |
| 11.ვერონა | 19 | 7 | 5 | 7 | 22-22 | 26 |
| 12.ფიორენტინა | 21 | 6 | 7 | 8 | 25-29 | 25 |
| 13.ნაპოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 28-28 | 24 |
| 14.უდინეზე | 20 | 7 | 3 | 10 | 19-31 | 24 |
| 15.სასუოლო | 20 | 6 | 4 | 10 | 32-35 | 22 |
| 16.სამპდორია | 20 | 5 | 4 | 11 | 20-33 | 19 |
| 17.ლეჩე | 20 | 3 | 7 | 10 | 23-39 | 16 |
| 18.სპალი | 21 | 4 | 3 | 14 | 15-33 | 15 |
| 19.ჯენოა | 21 | 3 | 6 | 12 | 21-41 | 15 |
| 20.ბრეშა | 21 | 4 | 3 | 14 | 19-40 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ვირტუსი-კრემონეზე ........ 1:1
პიზა-იუვე სტაბია ........ 1:1
პორდენონე-პესკარა ........ 0:2
ჩიტადელა-ბენევენტო ........ 1:2
სალერნიტანა-კოზენცა ........ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-ანჟე ........ 0:0
ბრესტი-ამიენი ........ 2:1
მონაკო-სტრასბური ........ 1:3
მონპელიე-დიჟონი ........ 2:1
რეიმსი-მეცი ........ 0:1
სენტ ეტიენი-ნიმი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 20 | 16 | 1 | 3 | 50-14 | 49 |
| 2.მარსელი | 21 | 12 | 6 | 3 | 30-21 | 42 |
| 3.რენი | 21 | 11 | 4 | 6 | 26-19 | 37 |
| 4.მონპელიე | 21 | 9 | 6 | 6 | 31-21 | 33 |
| 5.ნანტი | 20 | 10 | 2 | 8 | 19-18 | 32 |
| 6.ლილი | 20 | 9 | 4 | 7 | 24-22 | 31 |
| 7.ანჟე | 21 | 8 | 6 | 7 | 23-25 | 30 |
| 8.სტრასბური | 21 | 9 | 3 | 9 | 26-26 | 30 |
| 9.ლიონი | 20 | 8 | 5 | 7 | 31-19 | 29 |
| 10.რეიმსი | 21 | 7 | 8 | 6 | 17-14 | 29 |
| 11.ნიცა | 21 | 8 | 5 | 8 | 30-29 | 29 |
| 12.მონაკო | 21 | 8 | 5 | 8 | 36-36 | 29 |
| 13.ბრესტი | 21 | 7 | 7 | 7 | 28-27 | 28 |
| 14.ბორდო | 20 | 7 | 5 | 8 | 29-24 | 26 |
| 15.სტ.ეტიენი | 20 | 7 | 4 | 9 | 22-31 | 25 |
| 16.მეცი | 21 | 5 | 8 | 8 | 19-28 | 23 |
| 17.დიჟონი | 21 | 5 | 6 | 10 | 16-24 | 21 |
| 18.ამიენი | 21 | 4 | 6 | 11 | 24-41 | 18 |
| 19.ნიმი | 21 | 3 | 6 | 12 | 16-35 | 15 |
| 20.ტულუზა | 20 | 3 | 3 | 14 | 21-44 | 12 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ლანსი-კლერმონი ........ 1:1

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ჰერენვენი-ალკმაარი ........ 1:2
ვალვაიკი-ვენლო ........ 1:2
ერაკლესი-ფეიენოორდი ........ 2:3
სპარტა-სიტარდი ........ 1:1

**პორტუგალია. ლიგის თასი**

**ფინალი**

ბრაგა-პორტუ ........ 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ქსამაქსი-სერვეტი ........ 1:2
ციურიხი-ლუცერნი ........ 2:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-ლივინგსტონი ........ 2:4
მოზერველი-ჰიბერნიანი ........ 0:0
სელტიკი-როსი ........ 3:0
სტ.ჯონსონი-კილმანროკი ........ 2:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-მეხელენი ........ 1:0
ბევერენი-ეუპენი ........ 0:1
მუსკრონი-სტ.ტრუიდენი ........ 1:3
გენტი-გენკი ........ 4:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-პანათინაიკოსი ........ 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ანკარაგიუჯიუ ........ 1:1
ქაშიმფაშა-ალანია ........ 1:2
ფენერბახჩე-ბაშაქშეჰირი ........ 2:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სკანვორდი



1. ეროვნული პარკი კენიაში; 2. ... ტრიოლე; 3. ალკოჰოლური სასმელი; 4. ნოტი; 5. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 6. ერთგვარი გომბეშო; 7. „ქალაქი ...“; 8. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 9. ქალთა ქართული ცეკვა; 10. კუტი, ინვალიდი; 11. თიხის ან ფაიფურის პატარა ჩასაბერი საკრავი; 12. რადიოდანადგარის ნაწილი; 13. როგორიმე წესი, რიგი, ხასიათი; 14. კაუსტიკური სოდა; 15. ... ნოლტი; 16. ტიბეტური ხარი; 17. სპორტის იაპონური სახეობა; 18. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 19. გრძელი, ფართო წამოსასხამი; 20. ჯოზეფ ... (ბიზნესმენი); 21. სპორტული ჯირითი; 22. ბუნებრივი საღებავი; 23. მეეტლის ადგილი; 24. სოფიკო ჭიაურელის სცენური სახე; 25. წარწერა ფილმის კადრზე; 26. ჯუჯა კამეჩი; 27. სატურნის თანამგზავრი; 28. მაგნიტი; 29. რისამე აღნაგობა, წყობა; 30. სტალონეს მეტსახელი; 31. მუდმივი დენის გენერატორი; 32. ... საფინი; 33. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თაკვერი; 2. მაიოლიკა; 3. ხირხატი; 5. აბორდაჟი; 7. ათაბაგი; 9. მაჭანკალი; 13. მოურავი; 15. ყადაღა; 16. დიდუბე; 18. ნეიძე.

**თარაზულად:** 4. საქსაული; 6. ტრაპეცია; 8. ღვინობისთვე; 10. ურბნისი; 11. ჭოტი; 12. იგუანა; 14. წყალი; 17. აკიდო; 19. ოდიში; 20. ზურმუხტი; 21. იუტა; 22. საწნახელი; 23. მერკური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სვინგი; 2. სიმდი; 3. რუხი; 5. მუღამი; 6. სიონი; 7. კოპელია; 11. რეიმსი; 13. ხრიდოლი; 14. კროსი; 15. კატრანი; 16. დოპინგი; 17. ჯულეპი; 19. ალუჩა; 20. დოჟი.

**თარაზულად:** 1. სასწორი; 4. მაგმა; 8. ხეობა; 9. ღადო; 10. ნადური; 12. ლეჩხუმი; 14. კომო; 15. კაბოშონი; 16. დიორი; 18. სარმა; 21. ლობიო; 22. გორჟეტი; 23. ჩაპლინი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8870

ევრო — 3.1870

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7823

100 რუსული რუბლი — 4.6730

## ამინდის პროგნოზი 27 იანვრისთვის








28 იანვრიდან

ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## მთვრალი მამაკაცის ნაკბენმა ძაღლი იმსხვერპლა



განაში მამაკაცმა სასიკვდილოდ დაკბინა ძაღლი, რომელმაც მას უკბინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 45 წლის ჯასტის აფლაკპუი სვამდა ადგილობრივ ალკოჰოლურ სასმელს, რომელიც ჯინს ჰგავს. მოულოდნელად სახლში შევარდა ძაღლი, მამაკაცს ფეხზე უკბინა და გაიქცა.

განელი ცხოველს გაეკიდა, შორიახლოს ბუჩქებში დაიჭირა და საპასუხოდ თავადაც უკბინა.

– მესმოდა, ძაღლი როგორ ყეფდა და წკმუტუნებდა იმის ნიშნად, რომ ძალიან სტკიოდა, – ყვება აფლაკპუის ძმა, – რამდენიმე წუთის შემდეგ ძაღლი გაჩუმდა. იმის გასაგებად გამოვედი, თუ რა ხდებოდა და აღმოვაჩინე, რომ კბენის შემდეგ ძაღლი მკვდარი იყო, პირიდან კი ქაფი გადმოსდიოდა.

## მამაკაცმა ორი თვე ბოძზე აღმართულ კასრში გაატარა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრმა ახალი რეკორდის დასამყარებლად მაღალ ბოძზე მოთავსებულ ღვინის კასრში ორ თვეზე მეტი გაატარა.

21 იანვარს ვერნონ კრიუგერმა 1997 წელს დამყარებული საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა. მან ღვინის 500-ლიტრიან კასრში უკვე 67 დღე გაატარა. ამჯერად 24 მეტრის სიმაღლეზე ის 13 დღით მეტის გატარებას გეგმავს. მისი თქმით, ახლა, როდესაც მას აქვს სმარტფონი და სოციალური ქსელები, კასრში ჯდომა გაცილებით იოლია.

კრიუგერი ყოველდღე მწვრთნელის მეთვალყურეობის ქვეშ ვარჯიშობს, რომელიც ქვევით, მიწაზე იმყოფება. ვარჯიში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მამაკაცს ჩანასახის პოზაში უწევს ძილი.

– საკვირველია, თუ როგორ ადვილად ეგუება ყველაფერს ჩვენი ორგანიზმი. პირველი კვირა ყველაზე რთული იყო, შემდეგ კი ყველაფერს ეგუები, – განაცხადა რეკორდსმენმა.

ასევე მას ჰყავს დამხმარეები, რომლებიც მას ყველაფრით ამარაგებენ. მისი თქმით, ადგილობრივი რესტორნები აწვდიან კერძებს. ასე რომ, მისი მენიუ მრავალფეროვანია. ყველაფერს კი თოკების საშუალებით აწვდიან. მისივე აღიარებით, ადამიანი, რომელიც ასეთი გამოწვევის მიღებას გადაწყვეტს, ამისთვის მზად უნდა იყოს როგორც ფიზიკურად, ისე – მორალურად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 27 იანვრისთვის



**ვერძი** – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ცოლი სახლში დილით დაბრუნებულ ქმარს ეკითხება:

– სად იყავი მთელი ღამე?

– მეგობართან ვიყავით და ჭადრაკის თამაშით გავერთეთ.

– და მერე ვინ ვის?

– არავინ არავის! ჭადრაკს ვთამაშობდით.

•••

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– ადვოკატი რატომ არ აიყვანეთ?

– ყველა ადვოკატმა უარი თქვა, ჩემი საქმისთვის ხელი მოეკიდა, როდესაც გაიგეს, რომ მილიონი ლარი ნამდვილად არ მომიპარავს.

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– იცოდი, ქვედა სართულზე პროფესორი რომ ცხოვრობს გეი ყოფილა?

– რას მეუბნები! რას არ გაიგებს კაცი. ამდენი წელია, მასთან დავდივარ და, პროფესორი თუ იყო, არ ვიცოდი!

•••

ღამით პარკში. გოგო ბიჭს ეკითხება:

– გიგი, ისე გეყვარები, როგორც დანტეს ბეატრიჩე?

ბიჭი ხმას არ იღებს.

გოგო:

– გიგი, ისე გეყვარები, როგორც პეტრარკას ლაურა?

ბიჭი ხმას არ იღებს.

გოგო:

– გიგი, ისე გეყვარები, როგორც რომეოს ჯულიეტა?

– ნინი, კომბლეს მეტი არაფერი მაქვს წაკითხული და, თუ გინდა, კომბლით გცემ.

•••

ზამთარია, მოხუცი ცოლ-ქმარი სახლში ღუმელს ეფიცხება. კაცი ცოლს ეუბნება:

– მოდი, ახალგაზრდობა გავიხსენოთ!

– მიდი, შენ ეზოში გადი და ჭიშკართან დამელოდე, მე კი პაემანზე მოვალ.

ქმარი გავიდა და იცდის. გავიდა ნახევარი საათი, ერთი, ორი, ცოლი არ ჩანს. ბოლოს გაბრაზებული სახლში დაბრუნდა და ცოლს ეკითხება:

– ბებერო, რატომ არ მოხვედი?!

– დედამ არ გამომიშვა!

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რა გიშლის ხელს გახდომაში?

– შიმშილის გრძნობა.

•••

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, შენ ბიჭი გინდოდა თუ გოგო?

– ფეხსაცმელზე თასმების შეკვრა მინდოდა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მარტა ბარამიძე „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობია



კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ მეორე სეზონის მონაწილე მარტა ბარამიძე სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობი გახდა.

კულინარმა „ფორმულა კრეატივის“ სერიალში ჟურნალისტი დეას როლი მოირგო და, როგორც მაყურებელმა აღნიშნა, საკმაოდ კარგადაც.

მარტასთვის ეს დებიუტია. მისი პერსონაჟი საკმაოდ გაბედული ჟურნალისტია და მაქსიმესთან ინტერვიუს მოსაპოვებლად მის სახლთან საათობით ლოდინზეც არ ამბობს უარს.

## ელდარ შენგელაია 87 წლის გახდა



რეჟისორი ელდარ შენგელაია 87 წლის გახდა. როგორც რეჟისორი აცხადებს, ეს ყველაფერი მისი მეუღლის ნელი შენგელაიას დამსახურებაა, რომელიც მაქსიმალურად ზრუნავს ხელოვანზე.

ელდარ შენგელაიამ მთელი თავისი სიცოცხლე ქართულ კინოს მიუძღვნა. მისმა ფილმებმა „შერეკილები“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ქართულ კინოში განსაკუთრებული კვალი დატოვა.

არაერთი საერთაშორისო ჯილდოსა და პრემიის მფლობელმა შვილის, ელენეს გარდაცვალების შემდეგ ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზა აიღო, თუმცა გადასაღებ მოედანს მაინც დაუბრუნდა და 2017 წელს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სავარძელი“ გადაიღო.

## ოთო ნემსაძე ტურისტულმა კომპანიამ მოატყუა



მომღერალი ოთო ნემსაძე ტურისტულმა კომპანიამ მოატყუა:

– ინტერკო თუ ვიღაც ბანძ ტურისტულთან გქონიათ შეხება?

გადამაგდეს, ხვალ დილით მივფრინავდით ეგვიპტეში, ყველა საქმე გადადებული და ათასი პრობლემა მოგვარებული.

მირეკავენ და მეუბნებიან, რომ ვიღაცები წავლენ და ვიღაცები – ვერა, ანუ თვითმფრინავი მიფრინავს და მე ბილეთნაყიდი ვერ მივფრინავ. სასტუმროც გაუქმებულია უკვე და ჩემი ბილეთიც.

ძალიან გაბრაზებული ვარ და არ დავტოვებ ამ ამბავს ასე, ზუსტად ვიცი და სამართლებრივად რა ხდება, ვინმეს გამოცდილება ხომ არ გაქვთ?

ინტერკო თრეველ ჯგუფი – აუცილებლად მოგიწევთ სამართლებრივად პასუხისგება! ყველაზე ცუდი ტურისტული მთელ დედამიწაზე!

## ნატალია ქუთათელაძემ ესპანეთში კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა



ქართველმა მეცოსოპრანო ნატალია ქუთათელაძემ ოპერის ახალგაზრდა მომღერლებისთვის ჩატარებულ საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა.

კატალონიელი ტენორის ფრანცისკო ვინასის სახელობის რიგით 57-ე კონკურსზე, რომელსაც ბარსელონამ უმასპინძლა, ნატალიამ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. კონკურსში სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა საოპერო მომღერლები მონაწილეობდნენ.

1963 წლიდან დღემდე კონკურსმა არაერთი ნიჭიერი ოპერის მომღერალი აღმოაჩინა. კონკურსისადმი ინტერესი მთელ მსოფლიოში საკმაოდ დიდია.

საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, კონკურსში გამარჯვებულების ერთობლივი კონცერტი 22 მაისს მადრიდში ჩატარდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კამეჩმა შეცდომით ლომის მაგივრად რქებზე მოზვერი წამოაგო



სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ლომების კამეჩების ჯოგზე თავდასხმის თვითმხილველები გახდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიზე მასაის არხზე გამოქვეყნდა.

მოზრდილი კამეჩები თავგანწირვით იგერიებდნენ მტაცებლების შემოტევას და იცავდნენ საკუთარ ნაშიერებს, რომლებიც მათ ზურგს იყვნენ ამოფარებულნი. ლომებს მათი ასეთი რეაქცია გათვალისწინებული ჰქონდათ. მათ კამეჩების ჯოგი ნელ-ნელა გაიტყუეს და შემდეგ ერთ-ერთ მოზვერს თავს დაესხნენ.

ერთ-ერთმა კამეჩმა შეცდომა შენიშნა და მოზვერის გადარჩენა მოისურვა. ის შეეცადა, ლომი რქებზე წამოეგო, მაგრამ ააცილა და მტაცებლის ნაცვლად რქებით ჰაერში მოზვერი აისროლა. შედეგად მოზვერი დაიღუპა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. მუქთახორა; 6. კავკასიის კლდეზე მიჯაჭვული ბერძენი ტიტანი; 8. იაპონიაში წინკარში ფეხსაცმლის გასახდელი ადგილი; 10. ხეში ჩასმული სხვადასხვა ფერის ხის ფირფიტები; 11. ბრგე და ღონიერი კაცი; 13. უპირატესი მდგომარეობა; 16. ნიკელისა და სხვა ლითონის შენაერთი; 18. სახელმწიფო აზიაში; 19. თაღლითი; 21. ჩრდილო ამერიკის ზომიერი კლიმატური სარტყლის ველები; 22. ყურის გამოსაკვლევი სამედიცინო ხელსაწყო; 23. პროტესტანტების მღვდელი.

**შვეულად:** 1. სამხედრო საავადმყოფო; 2. ... რივზი; 3. ორგანული სასუქი; 4. ზღვის თევზი; 7. კატის ნაშიერი; 9. კურკოვანი ხილი; 12. უცხოეთის გემი, რომელიც პოლიციურ სამსახურს ეწევა ნავსადგურში; 14. ბერძნული სიმებიანი საკრავი; 15. თირკმლების ანთება; 17. საპასუხო დარტყმა ფარიკაობაში; 20. საკოსტიუმე ქსოვილი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

